# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 3 ივლისი 2007 №150 (3073) ფასი 50 თეთრი


# პროფლიგა გაფრთხილებთ: დანდობა აღარ იქნება!



## 5 ივლისს მაგრად დაცხება

## ურჩ კლუბებს უმაღლესი ლიგიდან მოკვეთა ემუქრებათ

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის მოთხოვნით, ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე კლუბებმა თავიანთი ფინანსური გარანტიები ხუთშაბათამდე უნდა წარადგინონ... სხვა შემთხვევაში, პროფლიგა უკიდურეს ზომებს მიმართავს და მოთხოვნების ვერ ან არ დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლოა, ურჩი კლუბები უმაღლესი ლიგიდან მოკვეთოს. მოკლედ, პროფლიგის პოზიცია პრინციპული და ალბათ, დაგვეთანხმებით, სწორია. ჩემპიონატში თამაში გართობა არ არის: თუ გინდა და თავი გაქვს, გააკეთე, რასაც პროფლიგა ითხოვს, თუ არა და, ნახვამდის.

გუშინ კი პროფლიგაში ხუთკაციანი კომისია შეიქმნა და ახლა სწორედ ის გააკონტროლებს უმაღლეს ლიგაში მონაწილე კლუბების ფინანსურ უნარიანობას. ცხადია, კომისია სტადიონებისა და სხვა საკლუბო ინფრასტრუქტურის საქმეებსაც მიაქცევს ყურადღებას, თუმცა ამ ეტაპზე უმთავრესი ფინანსური სტაბილურობის საკითხი იქნება.

პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი (თავმჯდომარე), ფედერაციის გენმდივანი უჩა უგულავა, პროფლიგის გენმდივანი პაატა ბურჯალიანი, საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი ნოდარ კაკულია და პროფლიგის პრეზიდენტის თანაშემწე გერა ხეცურიანი — აი, ასეთი შემადგენლობითაა პროფლიგის კომისია და შეღავათებისა და ძველი დამსახურებების იმედად კლუბები ნუღარ იქნებიან. როგორც პროფლიგაში ამბობენ, დათმობა გამორიცხულია.

5 ივლისი ურჩებისთვის უმაღლეს ლიგაში იქნებ ბოლო დღეც იყოს...

**ქობა ინასარიძე**

# გორდონ ჰერბერტის მხოლოდ საქართველო

## შესარჩევი შეკრება შესარჩევ ეტაპამდე



ევროსაკვალიფიკაციო მატჩებისთვის მოსამზადებლად გორდონ ჰერბერტმა კარგა ხნით ადრე დაიჭირა თადარიგი. ის უკვე თბილისშია და ეროვნული ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევასაც შეუდგა. გუშინ კანადელმა სპეციალისტმა დილმის ბაზაზე შეკრიბა ყველა ის მოთამაშე, ვისაც საქართველოს ჩემპიონატში სიტყვა ეთქმის და მათ ნაირგვარი ტესტი ჩაუტარა. მის განკარგულებაში თხუთმეტამდე მოთამაშეა, რომელთაგან ისინი შეირჩევიან, რომლებიც უკვე 18 ივლისის გენერალურ შეკრებაზე ლეგიონერებთან ერთად გააგრძელებენ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ბრძოლას.

ჰერბერტი ამბობს, ახლა მთლიანად საქართველოს ნაკრებში ვიქნები დაკავებულიო და მართალიცაა — ის ხომ ფრანგული „პოორტეზიდან“ წამოვიდა და თუ რატომ, ინტერვიუში გულახდილად გვესაუბრება...



# სანდრო იაშვილის სამწლიანი არია: თუნი და შვეიცარია

ის, რაც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, გუშინ ოფიციალურად დამტკიცდა — სანდრო იაშვილმა შვეიცარიულ „თუნთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

თბილისის „დინამოს“ აწ უკვე ყოფილი თავდამსხმელი, „სარბიელის“ გამოკითხვით, მე-18 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი სანდრო იაშვილი ორიოდ დღის წინ ჩავიდა შვეიცარიაში, კლუბის მწვრთნელ-ხელმძღვანელებს ერთხელაც მოელაპარაკა და გუშინ კონტრაქტიც გააფორმა.

მოკლედ, იაშვილის კარიერაში ახალი ეტაპი უკვე დაიწყო...

**ბახა შალამბერიძე**



# ქართველები შავ ზღვაში

**2-8 ივლისს** თურქეთში შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიადა ჩატარდება, რომლის საფეხბურთო ტურნირში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიც მონაწილეობს. ჩვენი გუნდი 1991 წელს დაბადებული ჭაბუკებით ითამაშებს.

ტურნირში 11 ქვეყნის ნაკრებია მიწვეული.

**A ჯგუფი**: რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა

**B ჯგუფი**: უკრაინა, რუმინეთი, საბერძნეთი

**C ჯგუფი**: თურქეთი, საქართველო, ალბანეთი

ნახევარფინალში ჯგუფების გამარჯვებულები და A ჯგუფის მეორეადგილოსანი გავლენ.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები დღეს მასპინძლებს დაუპირისპირდება, 5 ივლისს კი ალბანელებს გაეჯიბრება — ორივე მატჩი, თბილისის დროით, 20 საათზე დაიწყება. ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში, ქართველები 6 ივლისს ქალაქ კირესუნში B ჯგუფის გამარჯვებულს შეხვდებიან, ფინალი კი, ისევე, როგორც მესამე ადგილისთვის მატჩი, 7 ივლისს ტრაბზონში გაიმართება.

„ჩვენი მიზანი ამ ტურნირის მოგებაა. 17-წლამდელთა ნაკრებში ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, რომლებმაც სლოვენია-ავსტრიაში ორიოდ თვის წინ საერთაშორისო ტურნირზე კარგად წარმოაჩინეს თავი და ვიმედოვნებ, არც თურქეთში შეირცხვენენ თავს“ — თქვა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰერბერტ ცანკერმა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში გამგზავრებამდე ცანკერის გუნდმა თბილისში ერთკვირიანი შეკრება გაიარა და ორი ამხანაგური შეხვედრაც ჩაატარა: „მერანთან“ 1:1 ითამაშა, თენგიზ სულაქველიძის აკადემიის გუნდი კი 3:2 დაამარცხა.

ცანკერმა ტურნირისთვის ამ ფეხბურთელებს უხმო:

*მეკარეები: თორნიკე ნიჟარაძე (დინამოს აკადემია), გიორგი შარიქაძე (დინამოს აკადემია);*

*მცველები: ბაქარ მირცხულავა (ტორპედო), ერნესტ ახალბედაშვილი (დინამოს აკადემია), ალექსი ქაშაკაშვილი (თენგიზ სულაქველიძის აკადემია), თორნიკე კაპუშაძე (დინამოს აკადემია);*

*ნახევარმცველები: დათო რიგვავა (ოლიმპის აკადემია) დათო მგელიაშვილი (ოლიმპის აკადემია), ნიკა შონია (ოლიმპის აკადემია), გიგა მელიქიშვილი (კახეთი), მერაბ მამულაძე (ბათუმი), ლუკა გუგუჩია (ოლიმპის აკადემია), დათო ლორთქიფანიძე (ოლიმპის აკადემია), ნიკა ძლამიძე (ბაია);*

*თავდამსხმელები: ერეკლე კაჭახიძე (ლოკომოტივი), ირაკლი შეყილაძე (ბაია), ოთო მეუნარგია (დინამოს აკადემია), დათო ვაშაკიძე (ოლიმპის აკადემია), ზურაბ ხურციძე (ტორპედო).*

ილია ნანობაშვილი

# 17 კარგი იყო, 19 ვნახოთ

**18-23 ოქტომბერს** საქართველო 19-წლამდელ ფეხბურთელთა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ციკლს უმასპინძლებს, რომელშიც საქართველოს ნაკრების გარდა ჰოლანდიის, ნორვეგიის და ლატვიის გუნდები ითამაშებენ.

ამ შესარჩევი ჯგუფიდან ელიტ-რაუნდში თამაშის უფლებას ორი საუკეთესო გუნდი მოიპოვებს. ელიტ-რაუნდი კი გაისად გაზაფხულზე გაიმართება.

გადაწყვეტილია, რომ შესარჩევი ტურნირის ოთხივე მონაწილე თბილისში დაბინავდება, თუმცა თამაშები არა მხოლოდ დედაქალაქში ჩატარდება — მატჩების მასპინძელი ქალაქები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ შარშან საქართველოში 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის თამაშები ჩატარდა, რომელშიც ჩვენების გარდა გერმანიის, რუსეთის და მაკედონიის 17-წლამდელთა ნაკრებები მონაწილეობდნენ. მაშინ უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ტურნირის ორგანიზება უმაღლესი ნიშნით შეუფასა.

ილია ნანობაშვილი

**მატჩების კალენდარი:**

18 ოქტომბერი

**საქართველო — ჰოლანდია**

**ნორვეგია — ლატვია**

20 ოქტომბერი

**საქართველო — ნორვეგია**

**ჰოლანდია — ლატვია**

23 ოქტომბერი

**საქართველო — ლატვია**

**ნორვეგია — ჰოლანდია**

# კილასონიამ ორი აფრიკელი დაითხოვა

**საქართველოს** ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ უკვე ურეკშია და „ასტანასთან“ მატჩისთვის იქ ემზადება. რუსთაველები 4 ივლისს ზუგდიდში ჩავლენ „მგლებთან“ სათამაშოდ, მომდევნო ტესტ-მატჩს კი, სავარაუდოდ, 6 ივლისს გამართავენ.

მოგეხსენებათ, „ოლიმპში“ ოთხი აფრიკელი იყო გასინჯვაზე. აქედან ორს, ერიკ ბესამბეს და ჯერი აკაიონკუს სამშობლოში მოუხდათ გაბრუნება. როგორც რუსთავის „ოლიმპის“ მთავარმა მწვრთნელმა ვარლამ კილასონიამ გვითხრა, აქ დარჩენილ ერნესტ აკუასაგას და ბუდჰი ბუსვანგას რამდენიმე დღე კიდევ დააკვირდებიან და ამის შემდეგღა ეტყვიან საბოლოო პასუხს.

ნუკრი ლოლაძე

# გელაშვილის უჩვეულო ტესტი

**მორიგი** საკონტროლო მატჩი გამართა ბელგიურმა „ბრიუგემ“. ამ გუნდში გასინჯვაზე მყოფმა ნიკა გელაშვილმა „კოკსიდთან“ შეხვედრაშიც პირველი ტაიმი ითამაშა.

„ბრიუგეს“ თავკაცმა ამჯერად 4-4-2 სქემით ათამაშა გუნდი და ჩვენებურს გარჯა მისთვის უჩვეულო პოზიციაზე, მარჯვენა ნახევარმცველად მოუხდა.

როგორც კლუბის წინა მატჩებთან შედარებით გელაშვილი პასიური იყო. თამაში კი „ბრიუგემ“ 3:1 მოიგო.

ქართველ ფეხბურთელს კიდევ რამდენიმე ტესტ-მატჩში დააკვირდებიან და შემდეგ გადაწყდება მისი გუნდში აყვანის საკითხი.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ვიტელებმაც დაიწყეს

**თბილისის** „ვიტ ჯორჯია“ ორჯერად ვარჯიშებზე გადავიდა, იქამდე კი ერთი საკონტროლო მატჩის ჩატარებაც მოასწრო. ვეტერინარები „ნორჩ დინამოელს“ გაეჯიბრნენ და 6:0 დაამარცხეს.

ვიტჯორჯიელთაგან გოლები ვასილ ლუჭაშვილმა (2), ალექსანდრე კვახაძემ, ზაზა სახოკიამ, ზაქარია ძამუკაშვილმა და ლაშა ჯაფარიძემ გაიტანეს. ძამუკაშვილი „ვიტ ჯორჯიაში“ ისინჯება, შარშან ეს ფეხბურთელი თელავის „კახეთში“ თამაშობდა. ასევე გასინჯვაზეა გუნდში „ნორჩი დინამოელის“ მეკარე კობახიძეც.

„დინამოელთან“ ნესტორ მუმლაძემ ეს ფეხბურთელები ათამაშა: *ბედიაშვილი (კობახიძე 46), პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე (ადამაძე 46), ლომაია (კაიშაური 46), ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი (იმერლიშვილი 46), რაზმაძე (ინჯგია 46), მელქაძე (მაისაშვილი 46), სახოკია (ძამუკაშვილი 46), ლუჭაშვილი (კოკნაძე 46).*

მეორე ტესტ-მატჩს „ვიტ ჯორჯიას“ 7 ივლისს გორის „დილასთან“ გამართავს. მომდევნოს კი 14 ივლისს. მანამდე გუნდი თბილისსა და მცხეთაში ივარჯიშებს და უკრაინულ შეკრებაზე 16 ივლისს გაემგზავრება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# მიხეილ აშვეთია დაღესტანში ჩავიდა

**მიხეილ აშვეთია** გუშინ მახაჩყალის „ანჟის“ შეუერთდა და, სავარაუდოდ, კონტრაქტსაც მალე გააფორმებს.

„ანჟიში“ ვარჯიშობს ლენქორანის „ხაზარიდან“ წასული ვალერი აბრამიძეც, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე ოფიციალურად გახდება დაღესტნელთა ფეხბურთელი.

აშვეთია ბოლოს იენის „კარლ ცაისში“ იყო, გოლებიც გაიტანა და მისი დამსახურებაცაა, გუნდი მეორე ბუნდესლიგაში რომ დარჩა, თუმც კონტრაქტი დაუმთავრდა და ორმხრივი შეთანხმებით გერმანია დატოვა. ახლა კი რუსეთის პირველ დივიზიონში აპირებს კარიერის გარძელებას, რაც ნაკრების ფეხბურთელისთვის მაინცდამაინც სასურველი ამბავი ვერ უნდა იყოს...

ილია ნანობაშვილი

# ფან-კლუბის აქცია

**გუშინ** საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბი ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიის გუნდს გაეჯიბრა და 3:6 დამარცხდა.



აქცია საქველმოქმედო იყო: ფან-კლუბის ხელმძღვანელებმა კოლონიის გუნდი უფასოდ გააწევრიანეს ფან-კლუბში, იმავდროულად, ეროვნული გუნდის სიმბოლიკიანი შარფებით, მაისურებით და 5 ბურთით დაასაჩუქრეს.

„ვფიქრობ, ასეთი აქციები ხშირად უნდა მოეწყოს — ეს მხოლოდ და მხოლოდ წაადგება ჩვენს ახალგაზრდობას. საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბი მსგავს ღონისძიებაში კიდევ მიიღებს მონაწილეობას“ — განაცხადა ფან-კლუბის ხელმძღვანელმა გიორგი ხაჩიძემ.

# თბილისი ჩემპიონია

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით, ლაგოდეხსა და ჭაბუკიანში მეორე ჩემპიონატი ჩატარდა ქალ ფეხბურთელთა შორის. ოთხგუნდა პირველობაში თბილისის ნაკრებმა იჩემპიონა.

მეორე წრეში მატჩები ასე დამთავრდა:

**ალმოსავლეთი 0:1 აჭარა**

**დასავლეთი 0:12 თბილისი**

**დასავლეთი 0:3 აჭარა**

**აღმოსავლეთი 1:4 თბილისი**

**აღმოსავლეთი 6:0 დასავლეთი**

**თბილისი 4:0 აჭარა**

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა გამორჩეული ფეხბურთელები დააჯილდოვა: საუკეთესო მოთამაშე — ტატა მატვეევა (თბილისი); ბომბარდირი — ლელა ჭიჭინაძე (თბილისი); მეკარე — ნინო ჭკუასელი (თბილისი); პერსპექტიული ფეხბურთელი — თეონა თოდაძე (აღმოსავლეთი).

შარშანდელი, ქალ ფეხბურთელთა პირველი ჩემპიონატი ასევე თბილისის ნაკრებმა მოიგო, როცა ფინალში 1:0 სძლია აჭარას.

ოთარ მხეიძე

**ნორვეგია**

ტიპელიგა. XIII ტური

რუსენბორგი 2:2 ალესუნდი

**ფინეთი**

ვეიკაუსლიგა. XII ტური

მიუპა 1:0 ლაჰტი

ვიიკინგიტი 1:2 იარო

ტამპერე 2:1 მარიეჰამნი

**ამხანაგური მატჩები**

მეცი 1:1 გენიონი

ერაყი 0:2 უზბეკეთი

ირანი 8:1 იამაიკა

ტაილანდი 2:0 ყატარი

**შვედეთი**

ალსვენსკა. XII ტური

იურგორდენი 2:1 გეფლე

გიოტებორგი 1:2 მალმიო

კალმარი 2:0 იორებრო

სუპერეტა. XIII ტური

იონკოპინგი 2:3 ნორჩიოპინგი

**ირლანდია**

პრემიერლიგა. XVI ტური

დროჰედა — გალვეი გადაიდო

ლიგის თასის 1/4 ფინალი

დუბლინი 2:1 ფინ ჰარპსი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინა სეზონის პოლონურ ფეხბურთში ყველაზე დიდი სიურპრიზი „გკს ბელხატუვის" თამაში იყო. ამ გუნდისგან ასეთ წარმატებას არავინ ელოდა და ყველა გაოცებული დარჩა — გვითხრა გუშინ ჩვენმა ძველმა ნაცნობმა, პოლონელმა კოლეგამ, დარიუშ კუროვსკიმ. მოგეხსენებათ, უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბელხატუვი" „ამერის" მეტოქეა. პოლონეთის ამ ციცქნა ქალაქის გუნდი კი ყველაზე ძლიერია მათ შორის, რომლებიც უეფას პარასკევის კენჭისყრამ ქართულ გუნდებს მეტოქეებად არგუნა



# პატარა ბელხატუვის დიდი საქმე

## ორესტ ლენჩიკმა ამერის გაგონებაზე მხრები აიჩეჩა და ყურმილი გათიშა



ორესტ ლენჩიკი

**მართალია,** „ბელხატუვი" დიდი ისტორიითა და ტიტულების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ დაგვეთანხმებით, პოლონეთის მეორეადგილოსნის ლიხტენშტაინის თასის მფლობელ „ვადუცთან", გნებავთ, ყაზახეთის ჩემპიონ „ასტანასთან" შედარება ცოტა უხერხული გამოგვივა... და რადგანაც ყველაზე უხერხული და სახიფათო სწორედ „ამერის" მეტოქეა, პირველად „ბელხატუვის" შესახებ საინტერესო ამბების მოყოლა ვამჯობინეთ. ცხადია, ჩვენ არც „დინამოსა" და „ოლიმპის" მეტოქეებს დავივიწყებთ, თუმცა ჯერ „ბელხატუვით" დავიწყოთ.

აი, რა გვითხრა დარიუშ კუროვსკიმ: „ბელხატუვის" მწვრთნელი ორესტ ლენჩიკი ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პოლონელი სპეციალისტია. თავისი საქმის კარგად მცოდნეა, თუმცა მთლად კარგად არ გამოსდის პრესასთან ურთიერთობა. მას ჩვენს კოლეგებთან სერიოზული კონფლიქტებიც ჰქონია. უეფას კენჭისყრის შემდეგ ლენჩიკს ჩემი კოლეგა დაუკავშირდა და როგორც ხდება ხოლმე, მცირე კომენტარი სთხოვა. „ბელხატუვისთვის" უეფას თასზე თამაში პატარა საქმე არ არის და ახლა ყველას ერთიორად აინტერესებს ამ კლუბის ამბები. ლენჩაკმა კი მოკლედ მოჭრა: მეტოქეზე წარმოდგენა არ მაქვსო და ტელეფონი გათიშა. „ბელხატუვის" მეტოქეზე სხვა ჯერჯერობით არც ფეხბურთელებს უთქვამთ და არც კლუბის ხელმძღვანელებს. თუმცა პოლონურ გაზეთებში უკვე დაიბეჭდა ცნობები „ამერის" შესახებ...

...„გკს ბელხატუვი" პოლონეთის მთავარ ლიგაში ყველაზე პატარა ქალაქის გუნდია. მაშინ, როცა დაახლოებით 60-ათასიანი ბელხატუვის გუნდი უძლიერესთა შორისაა, მაგალითად, მილიონნახევრიან გდანსკს ეს სანატრელი აქვს. პოლონეთში „ბელხატუვი" აქამდე ბევრი ვერაფრით გამოირჩეოდა, ათეული ამ გუნდისთვის დიდ წარმატებად ითვლებოდა და უმაღლესში გადმოსვლამდე თითქმის ყოველთვის მოკრძალებული მიზნები ჰქონდა. წელიწადნახევრის წინ კი „ბელხატუვის" პატრონობა ჰოლდინგმა „ბოტმა" იკისრა, მწვრთნელად ლენჩიკი მიიწვია და აგერ, შედეგიც სახეზეა. „ბოტი" მურა ნახშირის მოპოვებითაა დაკავებული და ამავე ჰოლდინგს ეკუთვნის უდიდესი ელექტროსადგურებიც. დღესდღეობით „ბელხატუვი" ერთ-ერთი უმდიდრესი პოლონური კლუბია...

...ორესტ ლენჩიკმა გუნდში რამდენიმე უცნობი ფეხბურთელი მიიწვია, მათ ადგილობრივი ახალგაზრდები დაახვედრა და სულ ცოტა ხანში ისეთი გუნდი ააწყო, მთელი პოლონეთი აალაპარაკა. „ბელხატუვის" ძალა გუნდურ თამაშშია. ვერ ვიტყვი, რომ ლენჩიკის შეგირდებს თავდასხმა უკეთ გამოსდით, ან დაცვაში და ნახევარდაცვაში უფრო ყოჩაღები არიანო. შარშან „ბელხატუვის" ფეხბურთელებს არავინ იცნობდა, დღეს კი მათ ავტორიტეტული პოლონური და უცხოური გუნდებიდან აკვირდებიან. იანვარში „ბელხატუვმა" იტალიურ „პალერმოს" საკმაოდ სარფიანად მიჰყიდა თავდამსხმელი მატუსიაკი, ხოლო ახლა, შესაძლოა, სხვა ფეხბურთელებიც გაყიდოს. „ბელხატუვის" ფეხბურთელების მიმართ მართლაც დიდი ინტერესია...

...ლენჩიკის გუნდის ლიდერად 24 წლის გამთამაშებელი ლუკაშ გარგულა ითვლება. ეს ტანმორჩილი ცენტრალური ნახევარმცველი ტექნიკურია და ეფექტური პასებით გამოირჩევა. გარგულა ლეო ბეენჰაკერმა ეროვნულ გუნდშიც მიიწვია და ამბობს, რომ ამ ფეხბურთელს ბევრი შეუძლია და ნაკრების ძირითადში ადგილს მალე დაიმკვიდრებს. გარგულას გარდა კი ბეენჰაკერმა ამხანაგური მატჩებისთვის თავდამსხმელი მარიუშ იეჟეკი ორჯერ გამოიძახა. პოლონეთის ნაკრების კანდიდატად „ბელხატუვიდან" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ითვლება".

აი, ასეთი ამბები გვითხრა დარიუშ კუროვსკიმ, ვისგანაც საინტერესო ცნობებს „ამერის" მეტოქეზე მომავალშიც ველით.

# დინამოს ჰეთ თრიქი გაბონელმა გააკეთა

**თბილისის** „დინამომ" გუშინ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა და გერმანულ ობერლიგაში ახლახან გადასულ „გერას" 7:0 მოუგო.

დუშან უჰრინმა „გერასთან" მატჩი ამათ დააწყებინა: *ლორია, ლობჟანიძე, კრმკო, ზელიჩი, თომაშვილი, დიღმელაშვილი, ფირცხალავა, კობახიძე, რაიმონდი, ხუციშვილი, ხპასოევიჩი.*

„დინამომ" პირველი ტაიმი 1:0 მოიგო და გოლი სანდრო კობახიძის პასით კამერუნელმა რაიმონდ ვოუკოუემ გაიტანა.

შესვენების შემდეგ ჩვენების უპირატესობა გატანილ გოლებშიც გამოიხატა და აღსანიშნი ამბავიც მოხდა — ჰეთ თრიქი გააკეთა გაბონელმა თავდასხმელმა ჯორჯ აკირემიმ, რომელიც „დინამოს" ოდენ მატჩის დღეს შეუერთდა და დებიუტშივე სამი გოლით გამოირჩა. სხვათა შორის, აკირემის გაბონის ეროვნულ გუნდში 14 მატჩი ჩაუტარებია.

*ლორია, შ. კაშია, გ. კაშია, ზელიჩი, თომაშვილი, ოდიკაძე, ხმალაძე, ჯანაშია, ფეიქრიშვილი, მერებაშვილი, გონჩაროვი* — ასეთი იყო „დინამოს" შემადგენლობა მეორე ტაიმში.

თავდამსხმელებმა — ილია სპასოევიჩმა, ბორის გონჩაროვმა და ჯორჯ აკირემიმ „გერასთან" 30-30 წუთი ითამაშეს და ისე გამოვიდა, რომ გაბონელმა ფორვარდმა სამი ბურთი ნახევარ საათში გაიტანა.

აკირემისა და რაიმონდის გარდა კი დინამოელთაგან გოლები გიორგი მერებაშვილმა, ზამირ ჯანაშიამ და დავით ოდიკაძემ გაიტანეს.

და ერთიც: „დინამოს" პოტენციურ ახალწვეულ ოლეგ გველესიანს ფეხი აწუხებს და გუნდთან ერთად მთელი დატვირთვით შეკრების ბოლომდე ველარ ივარჯიშებს.

**კობა ინასარიძე**

# ამერის ტოპ-200

**თბილისის** „ამერი" ერთადერთი ქართული კლუბია, ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის საუკეთესო 350-ეულში რომ მოხვდა. ივნისის მონაცემებით, „ამერი" 81 ქულით 197-ე ადგილზეა, მაისში კი 201-ე იყო.

ლიდერი კი ესპანური „სევილიაა", ვისაც „ჩელსი", „ბოკა ხუნიორსი", „მილანი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" მისდევენ.

ტოპ-350-ში „ამერს" 15 პოსტსაბჭოური გუნდი უსწრებს. მომავალ თვეში სია გვარიანად უნდა შეიცვალოს — წინ ხომ ევროტურნირებია.

**ილია ნანობაშვილი**

# სიონი ელის ნაყოფიას და ნაყოფს

**ბოლნისის** „სიონს" 30 ივნისს „მადნეულის" გენერალურ დირექტორ კობა ნაყოფიასგან პასუხი უნდა მიეღო — გახდება თუ არა „მადნეული" „სიონის" პატრონი.

პასუხი კი დღემდე აგვიანებს. როგორც კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, მხარის გუბერნატორ ზურაბ მელიქიშვილს უთქვამს, არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნებაო.

**ნუკრი ლოლაძე**

# მერანელები კოჯრიდან ურეკამდე

**თბილისის** „მერანი" 4 ივლისს კოჯორში წავა შეკრებაზე, მანამდე კი რამდენიმე ფეხბურთელი შეიმატა — კერძოდ, მეკარე რევაზ თევდორაძე, რომელიც ბოლოს გორის „დილაში" თამაშობდა, ლევან მერებაშვილი „ბორჯომიდან", ტყეშელაშვილი და მგალობლიშვილი „გაგრადან".

„მერანის" მთავარმა მწვრთნელმა თამაზ კოსტავამ ეს გვითხრა: „ოთხიდან 15 ივლისამდე კოჯორში ვიქნებით, ამ პერიოდში ორ ამხანაგურ მატჩსაც გავმართავთ, თუმცა მეტოქეები ჯერ არ ვიცით... მერე 17-დან 29 ივლისამდე შეკრებას ურეკში გავივლით"

**ნუკრი ლოლაძე**

# ჭელიძემ წასვლა დაადასტურა

**გუშინდელ** „სარბიელშიც" ვწერდით, რომ „ტობოლთან" მატჩამდე „ზესტაფონმა" გუნდიდან გიორგი ჭელიძე და ბექა გოცირიძე დაითხოვა. გუშინ ჭელიძემ ეს ინფორმაცია დაგვიდასტურა:

„მე და ბექა გოცირიძე „ზესტაფონიდან" მართლაც წამოვედით. მწვრთნელ თემურ მახარაძესთან კონფლიქტზე საუბარი კი ზედმეტია. მეტს ვერაფერს გეტყვით. ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა".

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ალექსანდრე იაშვილმა შვებულება შეწყვიტა

ბუნდესლიგაში წლეულს გადასული „კარლსრუე" სეზონისთვის მზადებას ათი დღის წინ კი შეუდგა, მაგრამ „ფრაიბურგიდან" გადაბირებული ქართველი ფორვარდი ალექსანდრე იაშვილი ახალ გუნდს მხოლოდ გუშინ შეუერთდა და პირველად ივარჯიშა. არადა, იაშვილს კიდევ ოთხ ახალ თანაგუნდელთან ერთად შვებულება 5 ივლისამდე ერგებოდა. არადა, ქართველ თავდამსხმელს, რომელსაც „კარლსრუემ" სამწლიანი კონტრაქტი სამი კვირის წინ გაუფორმა, ბურთი და მოედანი მოენატრა და ვარჯიშიც ადრე განაახალა...

— მწვრთნელმა ნაკრების ფეხბურთელები სხვებზე მეტხანს დაგვასვენა. ჩემ გარდა, „კარლსრუედან" სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებში კიდევ ოთხი ფეხბურთელი თამაშობს და შვებულება ხუთივეს გაგვიხანგრძლივა. ვარჯიში ხუთშაბათს უნდა დამეწყო, მაგრამ უბურთოდ ველარ გავძელი, უქმობა მომწყინდა და ამ დილით უკვე გუნდთან ერთად ვივარჯიშე.

— ის ოთხი ფეხბურთელიც შენსავით მოიქცა?

— არა, ისინი ჯერ კიდევ ისვენებენ.

— ახალ გუნდში პირველად ივარჯიშე. საინტერესო იყო რამე?

— განსაკუთრებული არაფერი, ჩვეულებრივი ვარჯიში იყო. ერთი ეგაა, სამი კვირის უთამაშებელ-უვარჯიშებელს, ახლა ყველა კუნთი მტკივა. თუმცა ეგ არაფერი, ორ-სამ დღეში გამივლის.

— თანაგუნდელები უკვე გაიცანი?

— ცნობით ისედაც ყველას ვიცნობდი და ისინიც მიცნობდნენ, ამდენი ხანია ვთამაშობთ და მოედანზე ერთმანეთს ხშირად შევხვედრივართ. ყველაზე ახლოს კი კრისტიან ტიმთან ვარ, ის ადრე „კიოლნში" იყო, ბოლოს — „ფიურტში". სასტუმროშიც ერთ ნომერში ვართ.

— სასტუმროში რატომ ცხოვრობთ?

— ვიდრე კარლსრუეში სახლს ავარჩევ და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხებს მოვაგვარებ, სასტუმროში ვარ.

— შეკრებაზე სად მიდიხართ?

— 11 ივლისს ერთ-ერთ გერმანულ კურორტზე წავალთ ერთი კვირით.

— შენს შემდეგ „კარლსრუემ" კიდევ დაიმატა ფეხბურთელები?

— „ბაიერნიდან" გიორლიცი გადმოიბირეს და მისი დიდი იმედი აქვთ. კარგი ფეხბურთელია, მაგრამ „ბაიერნში" დიდი კონკურენცია იყო და ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდებოდა.

— წლეულს „კარლსრუეს" მიზანი ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება?

— რა ვიცი, ჯერჯერობით ამბობენ, რომ ათეულის გუნდი გვყავს და თუ გაგვიმართლა, ევებ ევროტურნირის საგზურისთვისაც ვიბრძოლოთო, მაგრამ ეს ძალიან ძნელი საქმე მგონია და ამ სეზონში, ალბათ, მაინც აუტსაიდერთა შორის ვიქნებით. ვნახოთ, სხვა გუნდები როგორ მოემზადებიან.

**კობა ინასარიძე**

# კიკერის შეზღუდვა
## პანდერი 60:40 კობიაშვილი

**გელზენკირხენის** „შალკემ" ვარჯიში ერთი კვირის წინ დაიწყო, თუმც ლევან კობიაშვილი გუნდს ჯერ არ შეერთებია. „ხუმარების" თავკაცმა მირკო სლომკამ ჟურნალისტებს უთხრა, ოთხ ფეხბურთელს სანაკრებო მატჩებში გადაღლის გამო ერთი კვირით მეტის დასვენების უფლება მივეციო — მათ შორისაა კობიაშვილიც.



ამასობაში გერმანულმა გაზეთმა „კიკერმა" „შალკეს" ოპტიმალური ძირითადი შემადგენლობის კონტურები მოხაზა. სლომკამ გასული სეზონის დასრულებისთანავე თქვა, მომავალ სეზონში უმეტესად 4-3-3 სქემით ვითამაშებთო. როგორც ჩანს, კობის მარცხენა მცველად მიუჩენენ ადგილს, თუმც „კიკერის" ვარაუდით, ამ პოზიციაზე ახალგაზრდა კრისტიან პანდერი უკეთ გამოიყურება.

აი, მცირე ამონარიდი წერილიდან: „პანდერი vs კობიაშვილი — შანსები 60/40. პანდერმა გაცილებით უკეთ ჩაატარა გასული სეზონი და უფრო პერსპექტიულიცაა, თუმც კობიაშვილს ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებს."

თუმც ისიც ვთქვათ, რომ კობის მარცხენა მცველზე მეტად ნახევარმცველობა უფრო ეხერხება. შუა ხაზში კი „შალკემ" ცვლილებები განიცადა — წავიდნენ ბრაზილიელი ლინკოლნი და თურქი ჰამიტ ალტინტოპი, სანაცვლოდ კი ჯერ მხოლოდ ხორვატი ივან რაკიტიჩი აიყვანეს, ოღონდ ის უფრო შემტევი ნახევარმცველია, ვიდრე ლევანი.

და ერთიც: „შალკემ" პირველი ტესტ-მატჩი უკვე გამართა და გერმანიის ქვედალიგელ „ვიქტორიას" 6:0 მოუგო, ერთი გოლი კი სწორედ „კიკერის" მიერ კობიაშვილთან შედარებულმა პანდერმა გაიტანა.

**ილია ნანობაშვილი**

# ონიანი იენაშია
## რატომ არ კითხულობენ გერმანიაში ჩვენს გაზეთებს?

**ფეხბურთის** სტაჟიან გულშემატკივარს ლუტცი ლინდემანი ალბათ ემახსოვრება. ამ ფეხბურთელმა „კარლ ცაისის" შემადგენლობაში ქართული ფეხბურთის ჯერჯერობით ყველაზე ღირსშესანიშნავ დღეს, 1981 წლის 13 მაისს თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ ითამაშა.



ახლა ლინდემანი კლუბის მენეჯერია. „კარლ ცაისი" კი ახალი სეზონისთვის გაძლიერებაზე მუშაობს და იენურ კლუბში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის გამოჩენასაც ველით. ერთ-ერთი მათგანი რუსთავის „ოლიმპის" მცველი გიორგი ონიანია, რომელიც უკვე იენაშია და „კარლ ცაისთან" ერთად პირველად, სავარაუდოდ, დღეს უნდა ივარჯიშოს.

ხვალ-ზეგ იენაში მეორე ოლიმპელი, გიორგი სეთურიძეც გაემგზავრება. როგორც თავად ფეხბურთელმა გვითხრა, ორ დღეში სავიზო პრობლემა მოგვარდება და გერმანულ კლუბს ჩააკითხავს.

მესამე ქართველი ფეხბურთელი, რომლითაც „კარლ ცაისია" დაინტერესებული, ოდესის „ჩერნომორეცის" მცველი ილია კანდელაკია.

და აი, რატომ დაგვჭირდა ლინდემანის გახსენება — ჟურნალისტის კითხვაზე, ქართულ მედიაში ონიანის, სეთურიძისა და კანდელაკის სავარაუდო გადმოსვლაზე წერენ და თქვენ რას იტყვითო, ლინდემანმა ღიმილით უპასუხა — რა ვქნა, ქართული არ ვიცი და ვერაფერს გეტყვითო.

ქართული ენის ცოდნისა რა გითხრათ, მაგრამ ლინდემანმა ქართული ფეხბურთი კარგად უნდა იცოდეს...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბაბუნაშვილი დნიპროსთან გამოჩნდა
## უკრაინელი ქართველების დილემა: ვის რა ელის?



შოთა ბაბუნაშვილმა „ილიჩევეცის" მაისურა მოირგო

**უკრაინული** გუნდები ახალი სეზონისთვის ემზადებიან და საკონტროლო მატჩებსაც მართავენ.

დნეპროპეტროვსკის „დნიპრო" უმაღლესი ლიგიდან ჩაქვეითებულ მარიუპოლის „ილიჩევეცს" გაეჯიბრა და 2:0 მოუგო. მარიუპოლელთა შორის პირველად გამოჩნდა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი შოთა ბაბუნაშვილი, რომლის „ილიჩევეცში" გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ბაბუნაშვილი 23-ე წუთზე შევიდა მოედანზე და პირველი ტაიმის მერე გამოცვალეს.

პირველი ტაიმი ითამაშა დნიპროელმა ჯაბა კანკავამაც. უკრაინული გუნდის ვებგვერდმა ქართველი საყრდენის მიერ 50-მეტრიანი პასით წამოწყებულ საგოლე კომბინაცია გამოარჩია.

კიევის დინამოელი ქართველები კი გუნდებს ეძებენ. ერთადერთი, რაც თითქმის გადაწყვეტილია, ოთარ მარცვალაძის ამბავია — ჩვენებურს კიევის „არსენალში" ან გაანათხოვრებენ, ანაც გაყიდიან — ყველაფერს მოლაპარაკებები გამოაჩენს.

„არსენალი" გუშინ დედაქალაქელთა სარეზერვო გუნდს გაეჯიბრა და 3:1 მოუგო. მარცვალაძეს ჯერ „მეთოფეთა" მაისურა არ მოურგია, „დინამო 2"-ში კი პირველი ტაიმი ითამაშა დავით იმედაშვილმა. მესამე დინამოელ კახა ალადაშვილს კი რუსული კლუბებიდან აქვს შემოთავაზებები და მალე მისი ამბავიც საბოლოოდ უნდა გაირკვეს.

კახა მყავანაძე კი ალბათ ოდესის „ჩერნომორეცის" ძირითადს დაუბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, „მეზღვაურთა" ხელმძღვანელობა ამაზე უკვე ღიად საუბრობს.

საკადრო პრობლემებით შეწუხებულ „ჩერნომორეცს" მეტი გზა არა აქვს, განათხოვრებული ფეხბურთელები უნდა გაიხსენოსო — ამბობენ უკრაინელები და მათ შორის მახარჯალამოვლილ მყავანაძესაც გულისხმობენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კოპა ამერიკა 2007
## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი





AFP

# სად არის ჩვენი ბილეთები?

**B ჯგუფი. II ტური**

**ბრაზილია 3:0 ჩილე**

1:0, 2:0, 3:0 რობინიო (36პ, 84, 87)
ბრაზილია: დონი, მაიკონი (დანი ალვეში 26), ალექსი, ჟუანი, ჟილბერტო, მინეირო, ჟილბერტო სილვა, ელანო (ჟოსუე 79), ანდერსონი (ჟულიო ბაპტისტა 46), ვაგნერ ლავი, რობინიო
მწვრთნელი: კარლოს დუნგა
ჩილე: კ. ბრავო, ორმენიო, ფუენტესი, რიფო (ხ. ვარგასი 54), პ. კონტრერასი, ხარა (ლორკა 46), სანუესა, რ. მელენდესი (იტურა 20), ვალდივია, მ. გონსალესი, ი. სუაზო
მწვრთნელი: ნელსონ აკოსტა
გაფრთხილება: ხარა, სუაზო, ვარგასი, ჟილბერტო, მინეირო, რობინიო, ელანო, იტურა, კონტრერასი
მსაჯი: კარლოს ტორესი (პარაგვაი)
42 000 მაყურებელი

„კოპა ამერიკაზე" მეორე ჰეთ თრიქის ავტორი რობინიო გახდა, რომელიც დალლილობის გამო, ტურნირზე არჩასული კაკასა და რონალდინიოს მაგივრად ოფლს ღვრის და ბრაზილიის ლიდერია.

პირველი ჰეთ თრიქი კი როკე სანტა კრუზმა გაიფორმა პირველ ტურში, როცა პარაგვაიმ კოლუმბიას 5:0 მოუგო.

დაცვაში გამოკეტილი ჩილეს გატეხვა ბრაზილიელებს გაუჭირდათ და ამ საქმეში პარაგვაელი მსაჯი კარლოს ტორესი დაეხმარათ. ტორესმა საეჭვო პენალტი დანიშნა, რომელიც რობინიომ გამოიყენა და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმში ჩილელებს სამი მომენტი ჰქონდათ და ვერ გამოიყენეს. ბრაზილიასთან ბოლო 3 მატჩში ჩილემ 12 გოლი გაუშვა და არ გაუტანია — 2005-ში 0:5 წააგო, ამ წლის დასაწყისში 0:4 და 0:3-იც მიამატა.

თამაშის ბოლოს ნელსონ აკოსტას გუნდმა შეუტია და... რობინიომ ორჯერ გაიტანა. ჯერ ვაგნერ ლავის პასით — მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო, ხოლო მერე ლამის ნახევარი მოედანი გადაირბინა, ორ მცველს გასცდა და კუთხეში შეაგდო.

დამარცხებულთა მწვრთნელმა ნელსონ აკოსტამ რობინიოზე თქვა: „მან ბოლოს გაგვიტანა, როცა ჩვენი დაცვა გახსნილი იყო. ასეთ დროს კი ეს ძალიან ადვილია, რადგან მეტოქე დაღლილია და თამაშის გადარჩენას ცდილობს — 0:1-ზე სუაზოს რომ შეეგდო, ახლა მასზე ვილაპარაკებდით. ვფიქრობ, საკმაოდ კარგად ვითამაშეთ იმის გათვალისწინებით, რომ ორი ფეხბურთელი დაგვიშავდა და ტაქტიკის შეცვლამ მომიწია".

კარლოს დუნგა: „ჩვენ ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენეთ. რთული მატჩი იყო, რადგან მეტოქე ორ ხაზად იდგა დაცვაში და გავლა ჭირდა. მეორე ტაიმში კი გაიხსნენ და შეტევა გაგვიადვილდა."

მილიარდი დოლარი კი დახარჯა უგო ჩავესის მთავრობამ ტურნირის სამასპინძლოდ, მაგრამ სტადიონი „მონუმენტალი", რომელზეც ბრაზილია — ჩილე გაიმართა, ჯერაც დაუსრულებელია. შეხვედრის დაწყებამდე 24 საათი იყო დარჩენილი, რომ მუშები ისევ დასტრიალებდნენ ნაგებობას. ნარჩენების შორს გატანა ვერ მოახერხეს და სტადიონის გარშემო ეყარა. ხალხს 2 კილომეტრის შემოვლა დასჭირდა, რათა მთავარ შესასვლელთან მისულიყო, იქ კი რიგი დახვდათ. ისიც გაირკვა, რომ უამრავმა ქომაგმა ვერ მიიღო ბილეთი, რომლებმაც ტელეფონით და ინტერნეტით შეუკვეთეს. მათი ანგარიშებიდან ფული გადარიცხულია, ბილეთები კი გაქრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აქლემის საგოლე პასუხი



ხუან კაჩო და ჯოვანი ესპინოზა

AFP

**მექსიკა 2:1 ეკვადორი**

1:0 ნ. კასტილიო (22), 2:0 ბრავო (80), 2:1 მენდესი (85)
მექსიკა: ო. სანჩესი, ი. კასტრო, მარკესი, მაგალონი, ფ. პინტო, რ. მორალესი (პინედა 83), ტორადო, კორეა, არსე, ნ. კასტილიო (ბლანკო 78), კაჩო (ო. ბრავო 63)
მწვრთნელი: უგო სანჩესი
ეკვადორი: მორა, დე ლა კრუზი, ურტადო, ესპინოზა, ბაგუი (ვ. აიოვი 71), ე. მენდესი, ე. ტენორიო (რეასკო 46), ს. კასტილიო, ვალენსია, კ. ტენორიო (ბორხა 78), კ. ბენიტესი
მწვრთნელი: ლუის სუარესი
გაფრთხილება: ურტადო
მსაჯი: რენე ორტუბე (ბოლივია)
42 000 მაყურებელი

**პირველი** მეოთხედფინალისტი ამ მატჩში გამოვლინდა — მექსიკამ ბრაზილიის დამარცხების შემდეგ ეკვადორიც ჯიბეში ჩაისვა და ექვსი ქულით პირველ ადგილზეა.

კვლავ გაიბრწყინა ნერი კასტილიომ, ვინაც ბრაზილიასთანაც „დახაზა". პირველი ტაიმის შუაში კასტილიომ რაფაელ მარკესისგან პასი მიიღო, ერთი მოძრაობით უსაქმოდ დატოვა მცველი და მეკარე და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

ეკვადორმა, რომელსაც მექსიკასთან მატჩში მხოლოდ ერთხელ მოუგია, გასათანაბრებლად გაიწია, მაგრამ ბოლო დარტყმა არ გამოსდიოდა.

34-ე წუთზე კრისტიან ბენიტესმა ახლოდან ვერ გაიტანა, შემდეგ კი დე ლა კრუზმა იხეირა, მაგრამ თამაშგარეს გამო არ ჩაუთვალეს — ტაიმის მიწურულს ეკვადორელმა მეკარემ ფერნანდო არსეს დარტყმული მოიგერია.

მეორე ტაიმში უგო სანჩესმა ორი ფეხბურთელი შეცვალა და მათი კომბინაციის შედეგად, მექსიკელებმა მეორე გოლი შეაგდეს — კვატემოკ ბლანკომ საჯარიმოში ჩააწოდა და ომარ ბრავომ თავური დარტყმით სხვაობა გაზარდა. ასე უპასუხა ბრავომ კრიტიკოსებს, რომლებიც მას ნაკრების მილმა დატოვებას უწინასწარმეტყველებდნენ ტურნირის დაწყებამდე. სხვათა შორის, „გვადალახარას" ფორვარდს ზურგზე კუზისმაგვარი აქვს, რის გამოც მეტსახელად აქლემს ეძახიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჩილე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |

III ტური, 4 ივლისი

მექსიკა — ჩილე

ბრაზილია — ეკვადორი



# გაიბერა, მაგრამ რა გაიბერა...

**ფერნანდო ტორესი** „ლივერპულში“ გადასვლის სანაცვლოდ ექვს წელიწადში 31,2 მილიონ გირვანქას ითხოვს — 23 წლის მადრიდელი მერსისაიდელთა თანამდებობის მწვრთნელთან, რაფა ბენიტესთან ჯერაც მოლაპარაკებების პროცესშია და, როგორც მისი მრჩევლები ამბობენ, კვირაში 100 ათასს დასჯერდება. სულ კი, ტორესში დახარჯული ფული 57,9 მილიონემდე ავა — აქ, ზემოხსენებული ჯამაგირის გარდა, სატრანსფერო თანხაა გათვალისწინებული. ზემოთქმულს ემატება 2,7 მილიონი, რომელიც ტორესისა „ატლეტიკოს“ მართებს და რომლის გადახდას მადრიდული კლუბი „ლივერპულს“ სთხოვს. სხვა სიტყვებით, თუ ეგ ბიჭი გინდა, მე რომ ხელფასი დამრჩა მისაცემი, შენ მიეციო. და კიდევ, ვითარებას დელიკატურობას მატებს ის გარემოება, რომ „ლივერპულში“ მხოლოდ სტივენ ჯერარდია „ზე-ხელფასიანი“, კვირაში 120 ათასს იღებს და ტორესის მასთან მიახლოვებამ ემანდ, გაუგებრობა არ გამოიწვიოს.

მაგრამ, ისევე როგორც ყველა მედალს, ამ მედალსაც აქვს მეორე მხარე — თუ რაფა ბენიტესი ამ ყველაფერზე არ წავა, ზაფხულის ნომერ პირველ მიზანს დაკარგავს, რადგან ტორესს კალში „ინტერი“ უდგას.

„ფერნანდო მადრიდის „ატლეტიკოს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ მისთვის აბსოლუტურად მისაღებ ვარიანტს შესთავაზებენ“ — განმარტა ფეხბურთელის სააგენტომ „ბაია ინტერნეშნალმა“.

**ბაჰუნა ძედია**

# მოეფერეთ ფრენკს და ჯონს

## რომამ აღმასრულებელს აღსრულება უბრძანა





**რომან აბრამოვიჩმა** ბრძანება გასცა, ჯონ ტერი და ფრენკ ლამპარდი შემდეგი კვირისთვის ახალი კონტრაქტებით იყვნენ „ჩელსისთან“ მიბმულებიო.

საინტერესოა, რომ რუსი მილიარდერი აქამდე მის კლუბსა და ფეხბურთელებს შორის გამართულ საკონტრაქტო დავას გარედან ადევნებდა თვალს, ახლა კი, როგორც ჩანს, საქმეში მკაცრად ჩაერია. ამბობენ, რომ აბრამოვიჩის დავალებით, „ლურჯების“ აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი ლოს ანჯელესში გაემგზავრება, სადაც ტერისა და ლამპარდს შეხვდება და, სავარაუდოდ, ყველაფერს მოაგვარებს.

ცნობისთვის: „ჩელსი“ ლოს ანჯელესში სეზონისწინა მოსამზადებელ წვრთნას გადის.

რამდენადაც ცნობილია, ტერისა და ლამპარდის პრობლემა, მათი ხელფასების ანდრეი შევჩენკოსა და მიხაელ ბალაკის ხელფასებთან შედარებით იყო გამოწვეული. ინგლისელი ვარსკვლავები თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ — უცხოეთიდან ჩამოყვანილ და ჯერჯერობით გუნდთან არცთუ კარგად შეთამაშებულ ვარსკვლავებს მათზე გაცილებით მეტი ჯამაგირი ჰქონდათ.

გავრცელებულ ცნობათა თანახმად, ბოლო დროს პიტერ კინიონმა ტერისა და ლამპარდს კვირაში 121 ათასი გირვანქა შესთავაზა, რაც მათ ბალაკთან და შევჩენკოსთან ატოლებდა, მაგრამ ინგლისელებმა რატომღაც უკვე ესეც უარყვეს, არადა, აბრამოვიჩს კატეგორიულად ჰქონდა გაცხადებული, რომ ამაზე დიდ ხელფასს არ გადაიხდიდა.

საინტერესოა, რა მოხდება ახლა, ნუთუ რომან აბრამოვიჩი სიტყვას გადათქვამს და ტერისა და ლამპარდს 121 ათასზე მაღალ ანაზღაურებას დაუნიშნავს?

„ჩელსის“ საკითხებში ჩახედული მიმომხილველები ამტკიცებენ, რომ ტერი და ლამპარდი განსაკუთრებული შემთხვევები და ლონდონური კლუბისთვის საგანგებო მნიშვნელობის ფიგურები არიან და ამიტომ, მათთვის გამონაკლისი სრულიად შესაძლებელია. ამბობენ იმასაც, რომ კლუბს ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც აქვს სამუშაო ჩასატარებელი. კერძოდ, ლამპარდი და ტერი ნაწყენები არიან, ისინი მიიჩნევენ, რომ მათ პატივს საკმარისად არ სცემენ და სხვა.

რაც შეეხება ლონდონელთა სხვა ამბებს, მათგან აღსანიშნავია, რომ ჯერემის ნება დაერთო, შეხვდეს „ნიუკასლ იუნაიტედის“ წარმომადგენლებს, კერძოდ, მწვრთნელ სემ ალარდაისს და „კაჭკაჭად“ გახდომაზე დაელაპარაკოს.

„იმედი გვაქვს, რომ 28 წლის ჯერემი ჩვენი გახდება — თქვა ალარდაისმა — საბოლოო შეთანხმებამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ რამდენიმე დღეში ყველაფერი მოგვარდება“.

**ბაჰუნა ძედია**

# დევიდი და ჯოჯოხეთი



**ადრე,** 1970-იან წლებში „მანჩესტერ სიტიში“ თამაშობდა ასეთი ფეხბურთელი როდნი მარში, რომელიც კარიერის ბოლოს აშშ-ში გაემგზავრა და „ტამპა ბეი როუდიზში“ გააგორა ბურთი. ამ კაცის ვინაობა იმიტომ გაგვახსენდა, რომ დევიდ ბექემის „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ გამგზავრების წინ, მას „სანმა“ სთხოვა ამერიკული შთაბეჭდილებების გახსენება, რაზეც მარშმა უარი არ თქვა და ასეთი პასუხი გამოუვიდა:

„დევიდის ცხოვრება ამერიკაში ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცევა. მან არ იცის, საიდან და რანაირი დარტყმები ელის. მას ყოველ მეორე ტურში გასვლითი მატჩები ექნება ჩასატარებელი და ამერიკაში, ინგლისსა და ესპანეთივით 200 მილის მოშორებით კი არ მიდიან სათამაშოდ, ნიუ ინგლენდში რომ ჩახვიდე, 4 ათასი მილი უნდა გადაიფრინო და იქ ერთს რომ გათამაშებენ, ზედ მეორეც უნდა მიაყოლო. ერთი სიტყვით, ოთხდღიან მონაკვეთში 9 ათას მილსაც გამგზავრებენ და ორ თამაშსაც ჩაგატარებინებენ. ასეთი რამ, ზედიზედ და რეგულარულად უნდა აკეთოთ, რასაც დაამატეთ, რომ ამ დროს სასაათო ზოლებსაც იცვლით და პლუს, სავალდებულო ურთიერთობა გაქვთ პრესა-ტელევიზიასთან, ვარჯიშობთ და ათასი სხვა საქმით ხართ დაკავებული. ვფიქრობ, რაც აღვწერე, მეტად ძნელი გასაძლები უნდა იყოს“.

**ბაჰუნა ძედია**

## ანდრეის შემცვლელი რომანი

**„ლევერკუზენი“** მოსკოვის „სპარტაკის“ ფორვარდ რომან პავლიუჩენკოთი დაინტერესდა. გერმანულ კლუბს 25 წლის ფეხბურთელი ანდრეი ვორონინის შემცვლელად უნდა, რომელიც „ლივერპულში“ გადავიდა.

„ლევერკუზენის“ სკაუტები რამდენჯერმე იყვნენ მოსკოვში პავლიუჩენკოს სანახავად და „სპარტაკის“ შეფებსაც ესაუბრნენ, მაგრამ მოსკოველები თავდამსხმელის გაყიდვას არ ჩქარობენ, რადგან ჩემპიონთა ლიგა ელით.

## ბელამი სამად

**„ლივერპული“** 3 მილიონ გირვანქად დაუთმობს კრეიგ ბელამის „მანჩესტერ სიტის“, თუ სიტელები ამ ტრანსფერში ნახევარმცველ მაიკლ ჯონსონსაც ჩართავენ — წერს „ნიუს ოფ ზე ვორლდი“.

ჯონსონი მანჩესტერული კლუბის ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება.

გარდა ამისა, „ლივერპულმა“ შეიძლება დაიბრუნოს ანტუან ლე ტალეკი, რომელიც გასულ სეზონში „სოშოში“ იყო განათხოვრებული.

## მამლის სურვილი

**„სანის“** ცნობით, „ტოტენჰემი“ „ჩელსიდან“ ორი ფეხბურთელის ყიდვას აპირებს: „მამლებს“ შონ რაიტ-ფილიპსისა და ლასანა დიარას გადაბირება სურთ, ორივეში კი 18 მილიონ გირვანქას იხდიან.

რაიტ-ფილიპსით მარცხენა ფლანგის გაძლიერება უნდათ, დიარათი კი ნახევარდაცვის ცენტრის.

## ანელკას სიტი ახსოვს

**„მანჩესტერ სიტის“** „ბოლტონიდან“ ნიკოლა ანელკას გადაბირება სურს, რომელსაც „არსენალიც“ ეპოტინება — წერს „სანდი მირორი“.

ფეხბურთელს მეგობრებში უთქვამს, რომ „სიტიში“ გადასვლა ურჩევნია, სადაც ადრეც უთამაშია.

სიტელთა ახალ მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს მიდლსბროელ იაკუბუ აიეგბენისთვისაც დაუდგამს თვალი.

## ნიჭიერი ფრანგული ჩაქუჩი

**„ბორდოს“** ნახევარმცველი ჟულიენ ფობერი „ვესტ ჰემში“ გადავიდა. ლონდონურმა კლუბმა 9 მილიონი ევრო გადაიხადა, 23 წლის ფეხბურთელმა კი ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ფობერი მეორე შენაძენია „ჩაქუჩებისთვის“ სკოტ პარკერის შემდეგ, რომელიც „ნიუკასლიდან“ შეიძინეს.

„იგი ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელია ევროპაში. მისი ყიდვა ბევრ დიდ კლუბს სურდა და მიხარია, რომ „ვესტ ჰემი“ არჩია“ — განაცხადა „ჩაქუჩების“ პატრონმა ეგერტ მაგნუსონმა.

## მგლის მცველი

**„ვოლფსბურგმა“** დაადასტურა, რომ „პორტუს“ მცველი რიკარდუ კოშტა იყიდა და სამწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. გერმანული მედიის ცნობით, „მგლებმა“ ცენტრალურ მცველში 4 მილიონი ევრო გადაიხადეს.

„ვოლფსბურგის“ მწვრთნელი ფელიქს მაგათი ამ ტრანსფერით ერთობ კმაყოფილია, რადგან რიკარდუ კოშტა ჰოლანდიელ კევინ ჰოფლანდს შეცვლის, რომელიც „ფეიენოორდში“ გადავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შტუტგარტი იუვენტუსს ფიფაში უჩივის

## რამ გააცოფა გერმანელები?

გერმანული „შტუტგარტი“ „იუვენტუსისთვის“ ფიფაში ჩივილს აპირებს, რადგან ტურინელებს მარიო გომესთან და ფერნანდუ მეირასთან წესების დარღვევით, გერმანული კლუბის ზურგსუკან დაუწყიათ მოლაპარაკებები, თუმც „იუვენტუსი“ ყველაფერს უარყოფს.

„ეს შეურაცხმყოფელია და არ შევეგუებით. „იუვენტუსი“ ცუდად მოიქცა. ამ საკითხის გასარჩევად ფიფას მივმართავთ. ჩვენ ტურინელთა სარეზერვო გუნდი არ ვართ და საერთოდ, უცხოურ კლუბებს ვერ მივცემთ ასე მოქცევის ნებას“ — თქვა „შტუტგარტის“ მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსს“ გერმანულ კლუბთან მსგავსი პრობლემა ადრეც ჰქონდა — მაშინ მიუნხენის „ბაიერნის“ მმართველმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ „ბიანკონერის“ გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი „მაფიური სტილით“ ქმედებაში დაადანაშაულა. საქმე რობერტ კოვაჩისა და ვილი სანიოლის ტრანსფერებს ეხებოდა...

გიორგი ქაქაბაძე

# ბებერი ქალბატონი ახალგაზრდებს უშვებს

ტურინის „იუვენტუსმა“ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გაასხვისა, ახლებზე კი ჯერჯერობით არაფერი ისმის.

ფრანგი ნახევარმცველი ოლივიე კაპო 4,5 მილიონი ევროს სანაცვლოდ „ბირმინგემში“ გადავიდა. 27 წლის ფეხბურთელმა ინგლისურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა გახანგრძლივების პერსპექტივით.

კაპო „იუვეში“ 2004 წელს „ოსერიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა, თუმც ტურინულ კლუბში ვერ დამკვიდრდა და წინა სეზონში ჯერ „მონაკოში“, მერე კი „ლევანტეში“ გახლდათ განათხოვრებული.

როგორც მოსალოდნელი იყო, მატეო პარო „ჯენოაში“ გაუშვეს. გენუელებმა ნიჭიერი ნახევარმცველის კონტრაქტის ნახევარი გამოისყიდეს, რაც სამი მილიონი ევრო დაუჯდათ.

24 წლის მეკარე ანტონიო მირანტე და მცველი დანიელე გასტალდელო კი იჯარით გენუის „სამპდორიაში“ გადავიდნენ.

მირანტე ბოლო პერიოდში ჯანლუიჯი ბუფონის დუბლიორი გახლდათ, ხოლო გასტალდელო „სიენაში“ იყო განათხოვრებული.

გიორგი ქაქაბაძე





# ახალი ლაციორი

## მცველი და ახალი ზიდანი

რომის „ლაციო“ ორი ფეხბურთელით გაძლიერდა — ოფიციალურად დადასტურდა, რომ ლიონელ სკალონი და მურად მეგნი მომავალი სეზონიდან „ბიანკოჩელესტის“ ღირსებას დაიცავენ.

„ვადასტურებთ, რომ სკალონი და მეგნი უკვე „ლაციოს“ ფეხბურთელები არიან. სკალონი ჩვენი ძირითადი გარემარბი იქნება, რაც ნიშნავს, რომ შეგვიძლია, მანუელ ბელერი გავანათხოვროთ. ვალონ ბეჰრამის კი შეუძლია, ნახევარდაცვაში დაბრუნდეს, რადგან დაცვაში თავს ცუდად გრძნობს“ — განაცხადა დედაქალაქელთა პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ.

„ნიუელს ოლდ ბოისის“, „დეპორტივოს“, „რასინგისა“ და „ვესტ ჰემის“ ყოფილი მცველი, არგენტინელი სკალონი „ლაციოში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. ახალ ზიდანად წოდებული 23 წლის ფრანგი მურად მეგნი კი რომაელებმა „ბოლონიადან“ იყიდეს.

კონტრაქტების პირობები ჯერჯერობით არ ხმაურდება. იტალიური პრესის ცნობით, სკალონი სეზონში დაახლოებით 450 ათას ევროს მიიღებს, მეგნის ხელფასი კი ცოტა უფრო მეტი იქნება.

კოკი ქანდელაკი

# რომაული აუქციონი: გინდათ კივუ? გადაიხადეთ მეტი!



კრისტიან კივუს მსურველთა რიცხვს მადრიდის „რეალიც“ შეემატა. კასტილიელებს „რომას“ რუმინელი მცველის ხელში ჩაგდება ადრეც უნდოდათ, თუმცა „რეალი“ „ბარსელონასა“ და „ინტერს“ შორის გამართულ სატრანსფერო რბოლას აქამდე შორიდან ადევნებდა თვალყურს. დღეს კი „სამეფო თეთრებმა“ ინტერესი „რომასადმი“ შეთავაზებული 16 მილიონი ევროთი დაამტკიცეს.

კატალონიელები რუმინელში 14, ხოლო ინტერელები 15 მილიონ ევროს იხდიდნენ. მადრიდის „რეალის“ მომავალმა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა კი კლუბის სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს უკვე განუცხადა, რომ კივუ სამეფო გუნდის სამომავლო პროექტისთვის აუცილებელი ფეხბურთელია.

მიუხედავად ამისა, „რეალს“ სათადარიგო ვარიანტებიც აქვს: იმ შემთხვევაში, თუ კრისტიან კივუს ტრანსფერი ჩაიშალა, მიატოვიჩი პსვ-ს ბრაზილიელი ალექსის ან „სარაგოსას“ არგენტინელის, გაბი მილიტოს მიყვანას ეცდება.

„რომა“ კი კივუს გასხვისებას უკვე შეურიგდა. იტალიურმა კლუბმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ რუმინელი გაისად „სტადიო ოლიმპიკოზე“ აღარ ითამაშებს. ახლა რომაელთათვის მთავარია, კივუ სარფიანად გაასხვისონ.

იტალიელთა ფავორიტი „ბარსელონაა“. კატალონიურმა კლუბმა კივუზე მოლაპარაკებათა მაგიდას სხვებზე ადრე მიაკითხა და საერთოდაც, „რომას“ და „ბარსას“ ისტორიულად თბილი ურთიერთობა აქვთ.

აპენინური გაზეთები წერენ, რომ „რომა“ მადრიდელთა წინადადებას მხოლოდ მას შემდეგ განიხილავს, თუ „ბარსელონა“ კივუზე საბოლოოდ იტყვის უარს.

ლადო ხომერიკი

# ჯენოა თორმეტი წლის შემდეგ

„ჯენოას“ მფლობელ ენრიკო პრეციოზის თქმით, ამ ზაფხულს იგი, სულ მცირე, 15 მილიონ ევროს დახარჯავს გუნდის გასაძლიერებლად. გენუელები 12-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდნენ სერია A-ში და მომავალ სეზონში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ.

„ჩვენ უკვე დავხარჯეთ 4,5 მილიონი ევრო პაპა ვაიგოს ტრანსფერზე. 2 მილიონად სანახევროდ გამოვისყიდეთ მარკო ბორიელო „მილანისგან“, ხოლო 3 მილიონად მატეო პარო „იუვენტუსისგან“. თუმცა, ეს დასასრული როდია, სულ მცირე, კიდევ ერთი ამდენის დახარჯვას ვაპირებთ იმ 3-4 ფეხბურთელის საყიდლად, რომლებიც გვჭირდება“ — განაცხადა პრეციოზიმ.

როგორც ირკვევა, არის შანსი, პერსპექტიული მცველი დომენიკო კრიშიტო „იუვედან“ ისევ „ჯენოაში“ დაბრუნდეს, ოღონდ იჯარით.

„ჩვენი თამაშის სტილი ენერგიული და შემტევია, ამიტომ დაცვას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამ რგოლში ძლიერი ფეხბურთელები გვჭირდება. დიდი იმედი მაქვს, „იუვენტუსი“ „სარაგოსადან“ გაბრიელ მილიტოს იყიდის და კრიშიტოს ჩვენთან დააბრუნებს. ტურინელებთან ჯენტლმენური შეთანხმება მაქვს, თუ დომენიკო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ იქნება, იჯარით აქ დაბრუნდება, რათა ზრდა არ შეწყვიტოს. თუმცა ბოლო სიტყვა მაინც „იუვეზე“ და მის მწვრთნელ კლაუდიო რანიერიზეა“ — დასძინა პრეციოზიმ.

კოკი ქანდელაკი

# მილანური სერია

## სპალეტიმ ცხრილი გააკეთა



„რომას“ მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის აზრით, მომავალ სეზონში სკუდეტოსთვის „მილანი“ და „ინტერი“ იბრძოლებენ. იგი თვლის, რომ სხვა კლუბებს ჩემპიონობის ძალიან მცირე შანსი იქნებათ.

„ჩემი აზრით, მომავალი სეზონი იქნება დოლი „ინტერსა“ და „მილანს“ შორის. მათ უკან გვიხილავთ ჩვენ, „იუვენტუსს“, „ფიორენტინას“, „ლაციოსა“ და „პალერმოს“. „იუვენტუსმა“ სატრანსფერო ბაზარზე ბრწყინვალედ იმუშავა, მაგრამ, ვფიქრობ, ტურინელებს სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ გაუჭირდებათ“ — თქვა სპალეტიმ.

ბოლო წლებში სერია A-ში და, საერთოდ, ევროპაში ერთ-ერთმა საუკეთესო მწვრთნელმა ყურადღება თავის გუნდზეც გაამახვილა და თქვა, სატრანსფერო ბაზარზე მუშაობა ჯერ არ დაგვიმთავრებიაო.

ლუჩანო სპალეტი: „გარემარბები გვაკლია და ორისამი ამ ამპლუის მოთამაშე უნდა დავიმატოთ. ვიცი, რომ ფრანჩესკო მოდესტოს, მაურო ესპოზიტოსა და ჟულიენ ფობერს ვეპატიჟებოდით. დანარჩენი კი კლუბის სპორტულ დირექტორს ჰკითხეთ“.

სპალეტის ჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან ფობერი „ბორდოდან“ „ვესტ ჰემში“ გადავიდა, რეჯინელი მოდესტოს ტრანსფერის შანსები შემცირდა, რადგან რეჯოკალაბრიელთა ხელმძღვანელობა 25 წლის ფეხბურთელში, „რომას“ აზრით, ბევრს ითხოვს, აი, ესპოზიტო კი უკვე სანახევროდ „გლადიატორია“. დედაქალაქელებმა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი შეათანხმეს „კალიარისთან“ და მისი კონტრაქტის ნახევარი გამოისყიდეს.

გიორგი ქაქაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეშმაკი დედამიწაზე დადის

**მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა „ასთან" საუბარში განაცხადა, რომ 2006-07 წლების სეზონი პირადად მისთვის რთული იყო, თუმცა საბოლოოდ სამეფო გუნდისთვის შესანიშნავი გამოდგა.**

**ლა ლიგის ჩემპიონთა შეფის აზრით, ფაბიო კაპელოს მწვრთნელობიდან დათხოვნა სწორი ნაბიჯი იყო — კალდერონის ფავორიტი გერმანელი ბერნდ შუსტერია...**




## რა დააშავა კაპელომ? რა და, დაცვას მიხედა

— რამდენიმე თვის წინ „რეალის" ყველაზე ოპტიმისტი ფანებიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ სეზონი მათი გუნდისთვის ასე სასიკეთოდ დასრულდებოდა...

— ასეა. ყველაზე ოპტიმისტები და მათ შორის მეც ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჯილდოს მოვიგებდით. ეს დიდი წარმატებაა და ამის გამო კმაყოფილები უნდა ვიყოთ. მთელი სეზონის განმავლობაში ბევრი რთული პრობლემა შეგვხვდა, საკმაოდ გავწვალდით და მრავალჯერ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როცა თითქოს სასოწარკვეთილებს ბრძოლაზე ხელი უნდა აგვეღო. პირადად ჩემთვის ეს სეზონი ურთულესი იყო, თუმცა ჩემპიონობამ თავისებური კომპენსაცია გაგვიწია.

**— რას გულისხმობთ, როცა პირად უსიამოვნებებზე საუბრობთ?**

— ჩემს მიმართ ბევრი უსამართლო კრიტიკა გაისმა. ვაღიარებ, რომ გარკვეული შეცდომები დავუშვი, თუმცა არა იმდენი, ასე მიწასთან რომ გავესწორებინე. ასეთი რამ მადრიდის „რეალში" არ უნდა ხდებოდეს.

**— განსაკუთრებით კლუბის საპრეზიდენტო პოლემიკური არჩევნებისას გაკრიტიკებდნენ...**

— იქ პოლემიკური და საკამათო არაფერი ყოფილა. სასამართლომ ყველაფერი სწორად დაადგინა, მორჩა და გათავდა. საქმე ის გახლდათ, რომ მე ფინანსურ ვეშაპთა კატეგორიას არ მივეკუთვნები და როცა „რეალის" პრეზიდენტი გავხდი, ზოგიერთებმა იფიქრეს, კალდერონი ულონოა, სკანდალურ ბრალდებებზე პროტესტს ვერ გაბედავს და საერთოდ, კლუბის პრეზიდენტად დიდხანს ვერ გაჩერდებაო. არა უშავს, ახლა ხომ ნახეს, საბოლოოდ ვინ დარჩა მოგებული.

**— თავიდანვე დინების საწინააღმდეგოდ მოგიხდათ ცურვა...**

— დიახ. და ახლა, როცა სეზონის ბოლოს სენსაციურად დადებით შედეგამდე მივედით, ოპოზიცია მაინც არ ჩერდება და აბსურდული ბრალდებებით მაწუხებენ. ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ მადრიდის „რეალის" გულშემატკივრებს ეს შეთითხნილი ამბები აინტერესებთ?

**— როცა პრეზიდენტი ხარ, ოპოზიციის არსებობასაც უნდა შეურიგდე...**

— რასაკვირველია, მაგრამ ისიც არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ოპოზიცია კალდერონს ძალიან ცუდად მოექცა. ვფიქრობ, ჩემი სიძულვილით ისინი „რეალის" ჩემპიონობას ისე აღიქვამენ, როგორც ტრაგედიას. ეს ძალიან სამწუხაროა, რადგანაც აქ ხალხის გარკვეული კატეგორია პირადი ინტერესებისთვის უფრო ზრუნავს, ვიდრე კლუბის გამარჯვებისთვის. საბედნიეროდ, მადრიდში კიდევ ბევრია ღირსეული პიროვნება, რომელთა ჯანსაღ კრიტიკასაც ყოველთვის პატივისცემით ვეპყრობოდი. ისინი „რეალის" საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებენ.

**— პრეზიდენტობის არჩევნები ხელახლა რომ მოაწყოთ, ხმების დათვლასთან დაკავშირებული სკანდალი მოისპობა?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, არჩევნების ხელახლა ჩატარების საკითხი ასე მწვავედ არ დგას. კლუბში გაწევრიანებული ინჩასები ძველი არჩევნების შედეგების გადასინჯვას არ ითხოვენ. ეს მხოლოდ ზოგიერთი დაჯგუფების სურვილია, რომელთაც პირადი ინტერესები ამოძრავებთ.

**— მაინც ეგებ არჩევნებს ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა სადავო საკითხები...**

— თქვენ სერიოზულად გჯერათ, რომ „რეალის" ინჩადას დებატების, გამოთვლების, ბრალდებებისა და საერთოდ არჩევნებთან დაკავშირებული ჯოჯოხეთის ხელახლა გადატანა სურს? ხელახალ არჩევნებს ზიანის მეტის არაფრის მოტანა არ შეუძლია. ახალ სეზონს ისევ მოუწყობელი სტრუქტურითა და ანარქიით შევხვდებით. კარგი, დავუშვათ, ამ საეჭვო იდეას დავთანხმდით და ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მაინც მოვუხმეთ ინჩასებს საარჩევნო ურნებთან. მერე, როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვებს? რამონ კალდერონი, პრეზიდენტი, რომელმაც „რეალს" ოთხწლიანი ჩავარდნის შემდეგ ლა ლიგის ოქრო მოუტანა! მაგრამ ეს ჩემი სტილი არ არის, ხალხს ტრავმატული ცვლილებებით და არეულობით არ შევაწუხებ.

**— პრობლემები კალდერონთან დაკავშირებით მარტო არჩევნებს არ უკავშირდება. ჯერჯერობით ბოლო სადავო საკითხი ფაბიო კაპელოს მწვრთნელობიდან განთავისუფლება იყო...**

— მე მხოლოდ ის მინდა, რომ ხალხმა „სანტიაგო ბერნაბეუ" გახარებულმა დატოვოს. წლეულს კი ასეთი რამ არ მომხდარა. „ლევანტესთან" მატჩისას ფანებმა „რეალის" და მისი მწვრთნელით უკმაყოფილების ნიშნად თეთრი ცხვირსახოცები ააფრიალეს. მაშინ მივხვდი, რომ სწორი გზით არ მივდიოდით. მეც, როგორც „რეალის" რიგითი ინჩასი, მზად ვიყავი, გუნდის საწინააღმდეგოდ ცხვირსახოცი გადმომეფინა, თუმცა რახან პრეზიდენტი ვარ, სიტუაციის გამოსასწორებლად სხვა რამ უნდა მეღონა.

**— კი მაგრამ, იტალიელს კომპენსაციის სახით დიდძალი თანხა უნდა გადაუხადოთ...**

— მადრიდის „რეალი" ლაღ, სანახაობრივი თვალსაზრისით ლამაზ ფეხბურთს უნდა თამაშობდეს, რაც ამ სეზონში არ ყოფილა. ვნახოთ, სამომავალსეზონოდ სტილის აღდგენას როგორ მოვახერხებთ. გაიხსენეთ, გასულ სეზონში ექსპერტები რას ამბობდნენ — „რეალის" თამაში აუტანელ სანახაობად მიაჩნდათ.

**— სენიორ კალდერონ, კომპენსაციის თაობაზე არ გვიპასუხეთ...**

— ჰო. თებერვალში მივხვდი, რომ კაპელოს გეგმა „რეალის" გულშემატკივრებისთვის მიუღებელი იყო. რაიმე სხვა გამოსავალი უნდა მოგვეძებნა. საერთო ჯამში, წარმატებებს მივაღწიეთ, მაგრამ ამასთან ერთად იყო ჩემპიონთა ლიგაზე „ბაიერნთან" საწყენი წაგება და „ბეტისთან" დაცემა კოპა დელ რეიზე. ეს ორი საშინელი ეპიზოდი გახლდათ, რაც არასდროს უნდა განმეორდეს. მადრიდის „რეალის" ინჩასებს ბრწყინვალე სპექტაკლები უნდა დავუბრუნოთ.

**— კაპელოს 6 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოთ თუ 12 მილიონი?**

— როცა იტალიელთან კონტრაქტს ხელი მოვაწერეთ, მას სათანამშრომლოდ ორი წელი შევთავაზე, თუმცა კაპელომ სამი მოითხოვა. ახლა როგორ არის საქმე — „რეალში" მოქმედი კანონით, კლუბის აღმასრულებელი დირექტორატის წევრებს (კაპელოც ბოლო მომენტამდე მათ რიცხვს ეკუთვნოდა) კომპენსაცია მარტო ერთი წლით ეკუთვნით. ანუ რამდენწლიანი კონტრაქტიც არ უნდა ჰქონდეს ფაბიო კაპელოს, მას „რეალი" მარტო ერთი წლის შესაბამის თანხას გადაუხდის.

**— „რეალში" არსებულ შიდა დაპირისპირებებზე ბევრს საუბრობდნენ. კაპელოს, კალდერონსა და პრედრაგ მიატოვიჩს შორის მართლა ასეთი განხეთქილება იყო?**

— ხანდახან კაპელო ისეთ რამეებს აკეთებდა, რომ ამის შესახებ პრესასთან ვერ ვისაუბრებ, ყველაფრის გამოაშკარავება არ შეიძლება.

**— საბოლოოდ „რეალმა" ბერნდ შუსტერი აირჩია...**

— ყველამ იცით, „ბერნაბეუზე" რა ტიპის მწვრთნელის მოყვანა გვინდა. გვჭირდება კაცი, რომელიც გუნდს შემტევ ფეხბურთს ათამაშებს, რომლის „რეალსაც" მატჩებში ბურთის ფლობის ოთხმოცპროცენტიანი მაჩვენებელი ექნება. იმედია, ახალი მწვრთნელის ხელში ფეხბურთით დავტკბებით და დაცვაში თერთმეტი კაცით არ ჩავდგებით.

**— ეს ახალი მწვრთნელი შუსტერი იქნება?**

— ვნახოთ... ყველამ იცის, ჩვენი ფავორიტი ვინ არის...

**— და თუ შუსტერმა „ბერნაბეუზე" შედეგებს ვერ მიაღწია?**

— დარწმუნებული ვარ, ჩვენს პროექტს წარმატებით განვახორციელებთ. „რეალს" ჰყავს ახალგაზრდა, მაღალი დონის ფეხბურთელები, რომლებსაც მოედანზე თავგანწირვით ბრძოლა და მაყურებლისთვის შესანიშნავი სანახაობის მოწყობა შეუძლიათ. ასე ვთქვათ, ორკესტრი უკვე გვყავს, მაგრამ ჯერჯერობით იმ დირიჟორის ნაკლებობას განვიცდით, ვინც ამ ორკესტრს მადრიდელ ფანთა საყვარელ მუსიკას შეასრულებინებს. თუ დირიჟორიც შესაფერისი მოვიდა, ჩაგდებაზე და კრიზისზე უკვე აღარავინ ილაპარაკებს.

**— და თუ მაინც მარცხი განიცადეთ? ამ შემთხვევაში ხომ სასწორის პინაზე თქვენი სავარძელი იქნება...**

— როცა კაპელო გუნდიდან გავუშვი, ყველამ მითხრა, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემს პრეზიდენტობას საფრთხეს უქმნიდა. მე კი ვუპასუხე, რომ თავის დაცვა და სავარძლის გარშემო რკინის კორდონის შემოკვრა კი არა, „რეალის" კარგი თამაშის ნახვა მინდა. აქ იმიტომ მოვედი, რომ პრეზიდენტის თანამდებობით გავრისკო და ვიცი, რამხელა წნეხის, კრიტიკისა და შეტევების ატანა მომიწევს. პრეზიდენტი ლაჩარი არ უნდა იყოს და გუნდის სასიკეთო ცვლილებებზე კონსერვატიზმის მომიზეზებით უკან არ უნდა იხევდეს.

**— საოცარი ოპტიმიზმია...**

— რატომ არ უნდა მქონდეს ოპტიმიზმის საფუძველი? გუნდი შესანიშნავი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და გაისად ტიტულები კვლავ უნდა მოვიგოთ.

**— ეს კაკასთან ერთად მოხდება თუ მის გარეშე?**

— კაკას ტრანსფერი კვლავ დილემად რჩება, მაგრამ მისი შეძენის შესაძლებლობები ისევ არსებობს. ფარ-ხმალს არ დავყრით და ბრაზილიელისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**— ესე იგი, სატრანსფერო ბაზარზე მორიგ „აფეთქებას" უნდა ველოდოთ?**

— ამ ფეხბურთელმა უკვე თქვა, რომ „მილანში" მისი ციკლი დამთავრებულია და კარიერის გაგრძელება „სანტიაგო ბერნაბეუზე" უნდა. რაც არ მომხდარა, იმის შესახებ ლაპარაკი არ მსურს, თუმცა ძალიან გამიხარდებოდა, „მილანთან" კაკას ფასზე შეთანხმებას რომ მივაღწევდეთ. იტალიელებმა თქვეს, რომ რონალდინიოს და ეტოოს ყიდვა უნდათ. თავად ბერლუსკონიმ განაცხადა, რონალდინიოში ას მილიონ ევროს გადავიხდიო. მეც იგივე უფლება მაქვს, კაკას ყიდვა მოვითხოვო. თუ ფასზე შევთანხმდებით, ყველაფერი კარგად წარიმართება.

**— „რეალის" განვითარება მარტო კაკას ტრანსფერზეა დამოკიდებული?**

— არავითარ შემთხვევაში! კაკა დიდი ფეხბურთელია, გუნდს ძალიან დაეხმარებოდა, მაგრამ რეალისტები უნდა ვიყოთ და კლუბის განვითარება მარტო ერთ ფეხბურთელს არ უნდა დავაკისროთ. სხვა ტრანსფერებსაც გავაკეთებთ, რაც „რეალს" სჭირდება.

**— თქვენი დამსახურებაა, რომ „რეალმა" „გალაქტიკური ეპოქა" წარსულს მიაბარა. ახლა მადრიდი ციდან მიწაზე დაეშვა და რეალურად ფიქრს მიეჩვია...**

— გეთანხმებით. უნდა ვაღიარო, რომ თავიდან „გალაქტიკით" მეც მოხიბლული ვიყავი, მაგრამ ახლა სხვა დრო მოვიდა.

**— რას გულისხმობთ?**

— მთავარია, დამღუპველი თვითდაჯერებულობა აღარ გვახასიათებს. „რეალი" მედიდური, მეტიჩარა გუნდი აღარაა, ახლა ხალხს, უბრალო გულშემატკივრებს უფრო დავუახლოვდით. ადრე კი „გალაქტიკის" გამო ესპანეთში ცუდი სახელი გვქონდა, ასევე ევროპაშიც — ფიქრობდნენ, რომ თავი არამიწიერ არსებებად მიგვაჩნდა.

**— რახან ესპანეთში და ევროპაში სახელი გამოასწორეთ, „რეალს" მსაჯები უფრო მოწყალე თვალით შეხედავენ?**

— რაღაც-რაღაცებს ნუ დამაბრალებთ, მსაჯები ყველა გუნდთან სცოდავენ ხოლმე... რაც შეეხება სახელს, ერთ ისტორიას მოგიყვებით: ისრაელში ამხანაგური ვიზიტისას ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანხელ მარია ვილიარი თან გვახლდა და მადრიდში ჩვენთან ერთად დილის ხუთ საათზე დაბრუნდა, მაშინ, როცა რვაზე უკვე მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა დანიშნული. შედარებისთვის — „რეალის" ყოფილი პრეზიდენტი წელიწადში ერთხელ ხვდებოდა ვილიარს და ერთმანეთთან ფრიად ცივი ურთიერთობა ჰქონდათ.

**— ამბობენ, რომ პრედრაგ მიატოვიჩი ტრანსფერებში გვარიან ფულს აკეთებს...**

— ეს მტკნარი სიცრუა. საშინელი ბარბაროსობაა, მიატოვიჩისნაირი პროფესიონალი კორუფციაში დაადანაშაულო. უფრო მეტიც, ასეთი ხმების გამავრცელებლები კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ.

**— ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძალიან შეიცვალეთ...**

— ადრე მეგონა, რომ ხალხი მხოლოდ კეთილი იყო და ცუდები არ არსებობდნენ... გულუბრყვილო იდიოტად ნუ ჩამთვლით, მაგრამ მართლა ვფიქრობდი, საერთო საქმის სასარგებლოდ კაცს თავის თავში ეშმაკის დათრგუნვა შეეძლო, მაგრამ დღეს... ახლა მეც მამაჩემის აზრს ვიზიარებ. თავის დროზე მან მითხრა — „რამონ, ეშმაკი დედამიწაზე დადის და ეს სიმართლეა".



# შავ-წითლები ბაზარში

„მილანი“ ანდრეი შევჩენკოს დაბრუნების იმედს არ ჰკარგავს. გავრცელებული ცნობით, „ჩელსიმ“ „როსონერის“ უკრაინელი თავდამსხმელის თხოვებაზე უარი უთხრა. ლონდონელები მის გაყიდვაზე არიან ყაბულს, მაგრამ არანაკლებ 27-28 მილიონ ევროდ, ეს კი „მილანს“ ეძვირება. მიუხედავად ამისა, „შავ-წითლები“ იმედიანად არიან.

„როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი: „შევას ძალიან ხშირად ველაპარაკები. მან იცის, რაც უნდა გააკეთოს“.

სხვა კანდიდატები რეალელი ანტონიო კასანო და ინტერელი ადრიანო იყიან...

„მართლა გვინდა თუ არა კასანოს შეძენა? თავად განსაჯეთ. რაც შეეხება „ინტერს“, არცთუ შორეულ წარსულში მათგან ოთხი ფეხბურთელი დავიმატეთ — ანდრეა პირლო და კლარენს ზეედორფი ახლაც ძირითადი შემადგენლობის მოთამაშენი არიან, კრისტიან ბროკი და დარიო შიმიჩი არცთუ ხშირად თამაშობენ, მაგრამ ისინი, ვინც „ინტერმა“ ჩვენგან წაიყვანა, დიდი ხანია, დავიწყებულნი არიან. ასე რომ, ამ მაგალითების მერე, არა მგონია, მასიმო მორატიმ ჩვენთან საქმე დაიჭიროს. აქედან გამომდინარე შევეშვით ადრიანოს“ — აღნიშნა გალიანიმ.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, გამორიცხა ემერსონის „სან სიროზე“ გადასვლაც და აღნიშნა, ერთ ფეხბურთელს ნამდვილად დავიმატებთ, ალბათ თავდამსხმელსო.

„ჩვენ ვთვლით, რომ ძლიერი და კარგად დაბალანსებული გუნდი გვყავს, რომელსაც ბევრი ცვლილება არ სჭირდება. ერთ ფეხბურთელს ნამდვილად დავიმატებთ. რამდენიმე შენაძენმა კი შეიძლება პირიქით, ცუდად იმოქმედოს კლუბზე. მაგალითად, ემერსონი რომ ვიყიდოთ, ვინ უნდა ამოაგდოს მან შემადგენლობიდან? ჯენარო გატუზო და ანდრეა პირლო არა მგონია, შეიძლება, მასიმო ამბროზინი ან კლარენს ზეედორფი. ამის ფონზე კი ახალგაზრდა იოან გურკუფი ძალიან დაიჩაგრება, რაც ნამდვილად არ გვინდა“.

**ქოქი ქანდელაკი**

# სანტა კრუზმა ექებოს



მიუნხენის „ბაიერნმა“ როკე სანტა კრუზს გამოუცხადა, რომ ის უკვე ზედმეტია და სხვა კლუბი უნდა ეძებოს. ეს მოხდა პარაგვაი — კოლუმბიის (5:0) მატჩის შემდეგ, რომელშიც პარაგვაელმა ფორვარდმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

„ბაიერნში“ ლუკა ტონის, მიროსლავ კლოზესა და იან შლაუდრაფის მისვლის შემდეგ, როკე სანტა კრუზის ადგილი აღარ დარჩა. 25 წლის თავდამსხმელის კონტრაქტი მიუნხენელებთან 2009-ში იწურება, მაგრამ ამ ზაფხულსვე გაჰყიდიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## დევიდ ჯეიმსი

მეკარე

დაიბადა 1970 წლის 1 აგვისტოს გარდენ სიტიში

სიმაღლე: 1,96 მეტრი, წონა: 90 კგ

კარიერა: 1989-92 წლები — „უოტფორდი“ (89 მატჩი), 1992-99 წლები — „ლივერპული“ (216 მატჩი), 1999-2001 წლები — „ასტონ ვილა“ (67 მატჩი), 2001-04 წლები — „ვესტ ჰემი“ (91 მატჩი), 2004-06 წლები — „მანჩესტერ სიტი“ (93 მატჩი), 2006 წლიდან — „პორტსმუთი“ (38 მატჩი)

1997-2006 წლებში თამაშობდა ინგლისის ნაკრებში (34 მატჩი)






## BMW M6

გამოშვების თარიღი: 2006 წელი

სიგრძე: 4,826 მეტრი

სიგანე: 1,836 მეტრი

სიმაღლე: 1,364 მეტრი

წონა: 1 785 კგ

ცილინდრი: 10

ძრავის კუბატურა: 5,0

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 250 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,6 წამში

ფასი: 55 000 გირვანქა

# ედუარდო და 73

## მეთოფეებმა სნაიპერი იყიდეს



73 გოლი 104 მატჩში — ამის ავტორი ედუარდო და სილვა ზაგრების „დინამოდან“ ლონდონის „არსენალში“ გადავიდა და 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბრაზილიაში დაბადებული ხორვატულპასპორტიანი ფორვარდი „არსენალის“ პირველი შენაძენია ტიერი ანრის წასვლის შემდეგ. ტრანსფერის ფასია 16 მილიონ 250 ათასი გირვანქა.

ედუარდო და სილვა 1983 წლის 25 თებერვალს დაიბადა რიო დე ჟანეიროში. ბავშვობაში იქაურ კლუბ „ნოვა კენედიში“ თამაშობდა. 15 წლის იყო, როცა მშობლები აიბარგნენ და ხორვატიაში დასახლდნენ. და სილვა, მეტსახელად, ედუარდო, ხან კი „დუდუ“, ზაგრების „დინამოში“ მიიღეს 1999-ში და მაშინვე გაანათხოვრეს ბრაზილიურ „ბანგუ ატლეტიკოში“. 2001-ში დაიბრუნეს და მომდევნო წელს ხორვატიის მოქალაქეობა მიიღო. „დინამოში“ პირველ სეზონში 4 მატჩი ითამაშა და ზაპრეშიჩის „ინტერს“ ათხოვეს, სადაც 15 შეხვედრაში 10 გოლი შეაგდო. კვლავ „დინამოში“ დაბრუნებულმა კი 2005-2006-ის სეზონში 29 მატჩში 20 გაიტანა და ბომბარდირებში მეორე გახდა.

შარშან ზაფხულს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამო“ „არსენალს“ შეხვდა და „მეთოფეთა“ ახალ სტადიონზე პირველი გოლი ედუარდომ და სილვამ შეაგდო, თამაში კი 1:1 დასრულდა.

გასული სეზონის პირველ წრეში, ხორვატიის ჩემპიონატში 18 მატჩში 18 გაიტანა, სულ კი 32 მატჩი ითამაშა და 34 გოლი მიითვალა, რითაც გორან ვლაოვიჩის (29) ექვსი წლის წინ დამყარებული რეკორდი მოხსნა. სულ კი „დინამოში“ ექვსი სეზონი გაატარა და 104 შეხვედრაში 73 გოლი შეაგდო.

ხორვატიის ნაკრებში 2004 წლიდანაა და 12 მატჩში 7-ის გატანა მოასწრო. მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ზლატკო კრანჩარმა არ წაიყვანა, მაგრამ კრანჩარის შემცვლელმა სლავენ ბილიჩმა ისევ უხმო ეროვნულ გუნდში.

**ვაჟა ხუციშვილი**

## კურჩის პირველობა უნდა

„რომას“ მეკარემ ჯანლუკა კურჩიმ „პარმაში“ გადასვლის სურვილი გამოთქვა. კურჩი იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი შემადგენლობის გოლკიპერია, მაგრამ „რომაში“ სათადარიგოა, რადგან იქ ბრაზილიელი ალეშანდრე დონი პირველობს.

## გროსოს ფიქრის კვირა

ფაბიო გროსოს აგენტმა დანიო კარაველომ დაადასტურა, რომ მისი კლიენტი „ლიონში“ გადასვლაზე ფიქრობს.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონმა სამი დღის წინ „ინტერს“ ფაბიო გროსოს ფასი ჰკითხა.

„მას შემდეგ, რაც ერიკ აბიდალი „ლიონმა“ „ბარსას“ მიჰყიდა, გროსოს გადასვლა ფრანგულ კლუბში შესაძლებელია. ამ კვირაში ყველაფერი გაირკვევა“ — თქვა კარაველომ.

## სპინელი: მხოლოდ ფული

„ლივორნოს“ პრეზიდენტ ალდო სპინელის თქმით, მისი გუნდის მეკარე მარკო ამელია 5 მილიონი გირვანქა ღირს და „ლაციოს“ მისი ყიდვა თუ უნდა, სწორედ ამდენი უნდა გადაიხადოს. რომაელები გაცვლას სთავაზობდნენ, მაგრამ სპინელიმ ბრძანა, რომ „ლივორნოს“ საკმარისი ფეხბურთელები ჰყავს და ახალი არ სჭირდება.

## პალადინოს მსურველები

„იუვენტუსის“ ნიჭიერ ფორვარდ რაფაელე პალადინოს მსურველთა რიგი დაუდგა. მათ შორის არიან „პარმა“, „სამპდორია“, „ფიორენტინა“, „რეჯინა“ და ლონდონის „არსენალი“.

იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრს „იუვეს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს და შეიძლება გაყიდონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## აშშ

MLS. XIV ტური

ჩიკაგო 0:0 კოლორადო

კანზასი 1:1 ტორონტო

## მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

A ჯგუფი. I ტური

კანადა 0:3 ჩილე

B ჯგუფი. I ტური

იორდანია 1:1 ზამბია

ესპანეთი 2:2 ურუგვაი

F ჯგუფი. I ტური

იაპონია 3:1 შოტლანდია

ნიგერია 1:0 კოსტა რიკა

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 3 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 5 | აიკ-ტრელებორგი | 1.50 | 3.60 | 5.00 | 1.05 | 1.15 | 2.09 |
| 22:00 | 6 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 2.55 | 3.10 | 2.25 | 1.39 | 1.19 | 1.30 |
| | | 4 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 7 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 3 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 14 | იორგრიტე-სირიუსი | 1.65 | 3.30 | 4.30 | 1.10 | 1.19 | 1.86 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 4 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 23 | ჰონკა-ტურკუ | 2.20 | 3.20 | 2.65 | 1.30 | 1.20 | 1.44 |
| | | ისლანდია | | | | | | |
| | | 3 ივლისი | | | | | | |
| 23:15 | 28 | ჰაფნაფიორდური-ფილკირი | 1.25 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.07 | 2.69 |
| 23:15 | 29 | ფრამი-ბრეიდაბლიკი | 2.30 | 3.00 | 2.55 | 1.30 | 1.20 | 1.37 |
| | | 4 ივლისი | | | | | | |
| 23:15 | 30 | ფილკირი-რეიკიავიკი | 1.65 | 3.20 | 4.00 | 1.08 | 1.16 | 1.77 |
| 23:15 | 31 | კოპავოგური-ვალური | 2.90 | 3.10 | 2.00 | 1.49 | 1.18 | 1.21 |
| 23:45 | 32 | აკრანესი-კეფლავიკი | 2.25 | 3.10 | 2.65 | 1.30 | 1.21 | 1.42 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 3 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 56 | ფიგეირენსე-კრუზეირო | 1.90 | 3.10 | 3.35 | 1.17 | 1.21 | 1.61 |
| 23:45 | 57 | ატლეტიკო პრ-ნაუტიკო | 1.20. | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.05 | 2.81 |
| 23:45 | 58 | ფლუმინენსე-პარანა | 1.75 | 3.20 | 3.55 | 1.13 | 1.17 | 1.68 |
| 23:45 | 59 | გრემიო-ჟუვენტუდე | 1.40 | 3.50 | 5.70 | 1.00 | 1.12 | 2.16 |
| 23:45 | 60 | პალმეირასი-ამერიკა | 1.22 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.06 | 2.85 |
| 23:45 | 61 | სან პაულუ-ინტერნასიონალი | 1.45 | 3.50 | 5.30 | 1.02 | 1.13 | 2.10 |
| 23:45 | 62 | გოიასი-ბოტაფოგო | 2.15 | 3.10 | 2.60 | 1.26 | 1.17 | 1.41 |
| | | 4 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 53 | ატლეტიკო მნ-ვასკო | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 23:00 | 54 | სპორტ რისიფი-კორინთიანსი | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| 23:00 | 55 | ვასკუ და გამა-სანტოსი | 2.00 | 3.10 | 3.00 | 1.21 | 1.20 | 1.52 |
| | | მსოფლიო ჩემპიონატი (20) კანადა | | | | | | |
| | | 3 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 81 | ჩეხეთი 20-კორეა დრ 20 | 1.45 | 3.50 | 5.50 | 1.02 | 1.14 | 2.13 |
| 23:45 | 82 | აშშ 20-პოლონეთი 20 | 2.85 | 3.10 | 2.05 | 1.48 | 1.19 | 1.23 |
| 23:45 | 83 | ბრაზილია 20-სამხრ.კორეა 20 | 1.25 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.81 |
| 23:45 | 84 | პანამა 20-არგენტინა 20 | 12.00 | 5.00 | 1.17 | 3.52 | 1.06 | 1.00 |
| | | ამერიკის თასი 2007 (ვენესუელა) | | | | | | |
| | | 3 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 113 | პერუ-ბოლივია | 1.70 | 3.30 | 4.00 | 1.12 | 1.19 | 1.80 |
| 23:45 | 114 | ვენესუელა-ურუგვაი | 2.75 | 2.80 | 2.40 | 1.38 | 1.28 | 1.29 |
| | | 4 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 115 | მექსიკა-ჩილე | 2.05 | 3.10 | 2.90 | 1.23 | 1.20 | 1.49 |
| 23:45 | 116 | ბრაზილია-ეკვადორი | 1.22 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.06 | 2.85 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10005 | აიკ-ტრელებორგი | 1.85 | 2.40 | 5.30 | 1.04 | 1.37 | 1.65 |
| 10006 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 2.95 | 2.00 | 2.55 | 1.19 | 1.36 | 1.12 |
| 10007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 2.50 | 2.00 | 3.20 | 1.11 | 1.40 | 1.23 |
| 10014 | იორგრიტე-სირიუსი | 2.00 | 2.10 | 4.60 | 1.02 | 1.39 | 1.44 |
| 10023 | ჰონკა-ტურკუ | 2.50 | 2.10 | 2.95 | 1.14 | 1.35 | 1.22 |
| 10113 | პერუ-ბოლივია | 2.15 | 2.10 | 4.30 | 1.06 | 1.43 | 1.41 |
| 10114 | ვენესუელა-ურუგვაი | 3.10 | 1.90 | 2.65 | 1.17 | 1.42 | 1.10 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11005 | აიკ-ტრელებორგი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11006 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11014 | იორგრიტე-სირიუსი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11023 | ჰონკა-ტურკუ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11113 | პერუ-ბოლივია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11114 | ვენესუელა-ურუგვაი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15006 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | იორგრიტე-სირიუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ჰონკა-ტურკუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15113 | პერუ-ბოლივია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15114 | ვენესუელა-ურუგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16005 | აიკ-ტრელებორგი | 1.14 | 4.70 |
| 16006 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 1.80 | 1.85 |
| 16007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1.52 | 2.20 |
| 16014 | იორგრიტე-სირიუსი | 1.23 | 3.60 |
| 16023 | ჰონკა-ტურკუ | 1.55 | 2.20 |
| 16113 | პერუ-ბოლივია | 1.24 | 3.60 |
| 16114 | ვენესუელა-ურუგვაი | 1.95 | 1.65 |

### გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17005 | აიკ-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | იორგრიტე-სირიუსი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ჰონკა-ტურკუ | 1.85 | 1.95 |
| 17113 | პერუ-ბოლივია | 1.85 | 1.95 |
| 17114 | ვენესუელა-ურუგვაი | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12005 | აიკ-ტრელებორგი | 1.60 | 1.80 |
| 12006 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 1.60 | 1.80 |
| 12007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1.80 | 1.60 |
| 12014 | იორგრიტე-სირიუსი | 1.80 | 1.60 |
| 12023 | ჰონკა-ტურკუ | 1.80 | 1.60 |
| 12113 | პერუ-ბოლივია | 1.60 | 1.80 |
| 12114 | ვენესუელა-ურუგვაი | 1.60 | 1.80 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14005 | აიკ-ტრელებორგი | 1.30 | 2.50 |
| 14006 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 2.00 | 1.80 |
| 14007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1.75 | 2.10 |
| 14014 | იორგრიტე-სირიუსი | 1.45 | 2.40 |
| 14023 | ჰონკა-ტურკუ | 1.80 | 2.00 |
| 14113 | პერუ-ბოლივია | 1.45 | 2.40 |
| 14114 | ვენესუელა-ურუგვაი | 1.95 | 1.85 |

ჭიდაობა

# ცამეტი ნაღდი

## ქართველების თბილისური ჩინურ-იაპონური



**ბერძნულ-რომაული** და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებები თბილისის საერთაშორისო ტურნირისწინა შეკრებაზე გადავიდნენ. 14-15 ივლისს „ქარიშხალას“ დარბაზში“ ჩასატარებელი გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციული ტურნირისთვის ქართველები გლდანში, ოლიმპიური რეზერვების ცენტრში გაფართოებული შემადგენლობებით (30-30 კაცი) მოემზადებიან. შეჯიბრის შედეგებით კი ნაკრებების თავკაცები ბეგი დარჩია და ზაზა თურმანიძე საშემოდგომო შემადგენლობებს გამოკვეთენ. შესანიშნავი შეიდეულები სექტემბერში აზერბაიჯანულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლებთან ერთად პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების მოპოვებასაც შეეცდებიან.

ბალავაძე-კარტოზიას ტურნირს შიდა კონკურენციისთვის ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს და ზედ სერიოზული სტუმრიანობაც დაემატება. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორებმა წლევანდელი შეჯიბრი სპორტის სასახლიდან ბევრად მოკრძალებულ „ქარიშხალაში“ გადაიტანეს, ჩამოსვლის მსურველთა რიცხვი მაინც არ შემცირებულა.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის ომზარ შოშიტაშვილის ცნობით, თბილისურ ხალიჩაზე გასვლის სურვილი ოფიციალურად უკვე ცამეტმა ქვეყანამ დაადასტურა. ყველაზე დიდი გუნდებით საქართველოში აზერბაიჯანელები ჩამოვლენ — ორივე სტილში 18-18 მოჭიდავე ეყოლებათ. სომხები 14-14-ს ჩამოიყვანენ, ჩინელები კი მხოლოდ თავისუფალი სტილის 19-კაციანი შემადგენლობით გვესტუმრებიან. ასევე მხოლოდ თავისუფალი გუნდები მოჰყავთ რუსებს (4 კაცი), ბერძნებს (4), ინდოელებს (1) და თურქებს. ამ უკანასკნელთა რაოდენობა დღედღეზე დაზუსტდება. ჯერჯერობით ჩვენი ფედერაციისთვის მხოლოდ ის შეუტყობინებიათ, უძლიერეს გუნდს ვაჭიდავებთო.

არანაკლებ წარმომადგენლობითი იქნება კლასიკოსების ტურნირი. მასზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გარდა ამერიკის (5), იაპონიის (4), ისრაელის (1), ესტონეთის (5) , უკრაინის (4) და უზბეკეთის (2) ნაკრებები გამოვლენ.

სტუმართაგან თბილისს პირველები ჩინელები და იაპონელები ესტუმრებიან. ისინი დღეს ჩამოვლენ და წინასატურნირო შეკრებას დარჩიას და თურმანიძის გუნდებთან ერთად გაივლიან. საქართველოში მომზადების სურვილი კიდევ რამდენიმე ქვეყნის ნაკრებს გამოუთქვამს, მაგრამ ოლიმპიური რეზერვების ცენტრი ყველა მსურველს ვერ დაიტევდა და მათთვის უარი შეუთვლიათ.

სატურნირო განაცხადების მიღება 5 ივლისს დასრულდება. იქამდე სამი დღეა და შეიძლება, სტუმართა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს.

**ოთარ გაღლაძელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფინეთამდე ფინეთი

## ჰერბერტი ასპროცენტიანია

გუშინ გორდონ ჰერბერტი საქართველოს ნაკრებში საქმიანობას შეუდგა. თუკი შარშან ის გვიან ჩამოვიდა თბილისში და ნაკრების კანდიდატები მისმა ქართველმა ასისტენტმა დავით უსტიაშვილმა შეარჩია, ახლა კანადელი სპეციალისტი თავად აწონ-დაწონის ქართველთა ნიჭს და ეროვნულ გუნდს თავად დააკომპლექტებს. ახლა ჰერბერტს „ქართულის" გარდა სხვა საქმე აღარ აქვს. ის აღარ არის „პო ორტეზის" მწვრთნელი და ჩვენი ნაკრების გაგანია შეკრების დროსაც აღარ მოუწევს საფრანგეთში წასვლა-წამოსვლა, როგორც ამას შარშან აკეთებდა.

ჰერბერტი ამბობს, ახლა უფრო მეტად ვიქნები საქართველოს ნაკრებზე ორიენტირებული და მიზნის მიღწევის შანსიც გაცილებით მეტი გვექნებაო. ქართველების კანადელ დამრიგებელს გუშინ, სალამოს ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრეთ...



ბუბაკა ფოლადიშვილის ფოტო

**— რამდენი ხანი გაგრძელდება ეს შეკრება და რა არის მისი მთავარი მიზანი?**

— ამ შეკრების მიზანია ყველა იმ მოთამაშის ნახვა, რომლებიც შეიძლება, ნაკრებს გამოადგეს. შარშან გუნდი შედარებით მწირი კონტინგენტიდან შევარჩიე, ახლა კი ყველას ნახვა შემიძლია, ვინც ქართულ კალათბურთში ოდნავ მაინც გამოირჩევა. ეს შეკრება 3 დღე გაგრძელდება.

**— 3 დღე ცოტა არ არის მოთამაშის მზადყოფნის დასადგენად?**

— არავითარ შემთხვევაში. არსებობს ელემენტარული ტესტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნაკრების წევრი. დღეს, დილის ვარჯიშზე სროლაში, სირბილსა და სხადასხვა სათამაშო კომპონენტში ჩავუტარე ბიჭებს ტესტები. ვფიქრობ, კიდევ ორი დღე სრულიად საკმარისი იქნება, ის მოთამაშეები შევარჩიოთ, რომლებიც ლეგიონერებს დაემატებიან.

**— ვის გამოარჩევდით დღევანდელი ვარჯიშიდან და რამდენი მოთამაშე მოხვდება აქედან ნაკრებში?**

— ჯერჯერობით თავს შევიკავებ ვინმეს გამორჩევისაგან. ისე, გეტყვით, რომ ძალიან მომეწონა ორი ყველაზე ახალგაზრდა ბიჭი (გიგი ბარბაქაძე და ვაჟა მეტრეველი), ჯერ მხოლოდ ბავშვები არიან და მათი სახით ქართულ კალათბურთს კარგი მომავალი ეზრდება. ამათგან ეროვნულ გუნდში ალბათ 4-5 მოთამაშე მოხვდება, გააჩნია ლეგიონერები როგორ დაძლევენ ტრავმებს. თუმც საბოლოო შემადგენლობის გამოცხადებამდე ჯერ ადრეა. აქედან დაახლოებით 6-7 მოთამაშეს დავტოვებ, რომლებიც 18 ივლისს ლეგიონერებთან ერთად კვლავ შეიკრიბებიან და ბულგარეთში საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრების წინ ძირითად 12 მოთამაშესაც გამოვაცხადებ. ამათ გარდა ალბათ კიდევ ორს დავიტოვებს სარეზერვოდ.

**— შარშანდელი შეკრებისას საქართველოში შედარებით გვიან ჩამოხვედით. რამდენჯერმე საფრანგეთშიც მოგიხდათ გამგზავრება. ახლაც იგივე ხომ არ განმეორდება?**

— გეცოდინებათ, მე კლუბში აღარ ვმუშაობ. ახლა 100 პროცენტით ნაკრებზე ვარ გადართული და მინდა, რომ ქართველებთან ერთად წარმატებას მივაღწიო. როდესაც საქართველოს ნაკრები 18 ივლისს სრულფასოვნად შეიკრიბება, ბოლო საკვალიფიკაციო მატჩამდე მის გვერდში ვიქნები.

**— „პო ორტეზთან" კონტრაქტით კიდევ გაკავშირებდათ ერთი წელი და რა მოხდა, რატომ გაწყვიტეთ ამ გუნდთან ურთიერთობა?**

— სეზონის წინ ხელმძღვანელობამ სამი მიზანი დაგვისახა — საფრანგეთის თასის მოგება, ევროლიგის ტოპ-16-ში გასვლა და ეროვნული ჩემპიონატის პლეი ოფში თამაში. აქედან პირველ ორ მიზანს მივაღწიეთ, საფრანგეთის ჩემპიონატის პლეი ოფამდე კი ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა. მიუხედავად ამისა, მაინც მომიწია კლუბის დატოვება — მიზეზი შედეგებში კი არა, ჩემსა და კლუბის პრეზიდენტს შორის ურთიერთობებში იყო. მას სურდა, რომ მწვრთნელის, ანუ ჩემს საქმეში ჩარეულიყო და თავის გემოზე ემართა გუნდი. ამის გამო ერთმანეთს ვერ გავუგეთ და გუნდის დატოვება მომიხდა.

**— შემოთავაზებები თუ გქონდათ სხვა კლუბებიდან?**

— არაერთი შემოთავაზება მქონდა, რომელთაგან ყველაზე რეალური იტალიური „ბენეტონის" წინადადება იყო. მიწვევდნენ ასევე ბერძნული და გერმანული კლუბები, მაგრამ ყველაფერზე უარი ვთქვი. სხვა კლუბში რომ წავსულიყავი, საქართველოს ნაკრებში სამუშაოდ ხელი შემეშლებოდა. არადა, ჩვენს ნაკრებს უმნიშვნელოვანესი მატჩები ელის და ყურადღების მცირე მოდუნებაც არ შეიძლება. ამიტომ საკლუბო კარიერაზე ჯერჯერობით უარი ვთქვი. საქართველო A დივიზიონში გადავიდეს და კლუბზე მერე ვიფიქრებ.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ელიტაში გადასვლას?**

— თუ მოვინდომებთ და არაფერს დავიზარებთ, შეუძლებელი ნამდვილად არაფერია. დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორ მზადყოფნაში იქნებიან ლეგიონერები. მე მათ ვუთხარი, რომ 18 ივლისისათვის ყველა ჯანზე ყოფილიყო. თუ ისინი პირობას შეასრულებენ, საქმეს წინ წავიგდებთ და საკვალიფიკაციო მატჩებს მეტად მობილიზებულები შევხვდებით.

**— ამ სამდღიანი შეკრების შემდეგ რას აპირებთ?**

— ფინეთში წავალ ჩემს ოჯახთან და 18 ივლისისათვის თბილისში ჩემს ასისტენტ კენი ატკინსონთან ერთად დავბრუნდები.

**— სწორედ ფინეთია ჩვენი მთავარი მეტოქე–**

— მერედა, ვინ თქვა, რომ მარტო ოჯახის მოსანახულებლად მივდივარ?!

**ირაკლი პერტაია**



ბუბაკა ფოლადიშვილის ფოტო

# დღე პირველი, ჩვეულებრივი

**გუშინ** საქართველოს ნაკრებისთვის კანდიდატთა შერჩევის პირველი სტადია დაიწყო. გორდონ ჰერბერტმა ევროპიდან ტესტები ჩამოიტანა და ვინც კი საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეული მოთამაშეა, მისი გავლა-ჩაბარება მოუწევს.

მათ, ვინც საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატად მოიაზრებიან (8 ლეგიონერის გარდა), გუშინ დილის ბაზაზე მოიყარეს თავი. ისეთებიც ვიხილეთ, წინასწარ შედგენილ გაფართოვებულ კანდიდატთა სიაში რომ არ იყვნენ, თუმც ამას რა მნიშვნელობა აქვს — რაც უფრო მეტ მოთამაშეს გამოცდის გორდონ ჰერბერტი, მით უფრო მოიგებს საქართველოს ნაკრები და ნიჭიერების არც ერთ მარცვალს არ დაკარგავს.

მაშ ასე, გუშინდელ ტესტ-ვარჯიშზე ეს მოთამაშეები ვიხილეთ: შიო ხეცურიანი, გიორგი მამაცაშვილი, რევაზ დიდია, დავით უგრეხელიძე, კოტე ტუღუში, ლაშა გამყრელიძე, გიორგი მარკოიშვილი, ზვიად ბაბიაშვილი, ირაკლი ხოშტარია, ბესიკ ლეჟავა, მიხეილ ბერიშვილი, რიჩარდ მათიაშვილი, გიგი ბარბაქაძე და ვაჟა მეტრეველი. ეს ბოლო ორი მოთამაშე 16 წლისაა, მაგრამ გამორჩეული ნიჭის გამო ისინი ჰერბერტმა მაინც შეათვალიერა და ვარჯიშის შემდეგ მათი მისამართით საქებარი სიტყვებიც არ დაიშურა.

მცირე ტრავმის გამო ვერ ივარჯიშა გიორგი შერმადინმა, ხოლო ანატოლი ბოისა თბილისში ხვალ ჩამოვა და ჰერბერტი მის შემოწმებასაც მოასწრებს.

ვარჯიში ჩვეულებრივი იყო — თავიდან მოთელვა, მერე სროლები და კომბინაციები. მთავარი მომენტი ბოლოს დადგა, როცა ჰერბერტმა კანდიდატთაგან სამი გუნდი გააკეთა და ერთმანეთს გააჯიბრა. კანადელი გულდასმით ადევნებდა თვალს ჩვენი ჩემპიონატის ლიდერების მოწადინებას და თავის აზრებს დავით უსტიაშვილს უზიარებდა, რომელიც, თავის მხრივ, საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდა ამა თუ იმ მოთამაშესთან დაკავშირებით.

ამ თამაშობაში ჩამთავრდა სამდღიანი შეკრების პირველი დღე. ხვალ, დღის ბოლოს, ჰერბერტს უკვე ეცოდინება, თუ რამდენიმე მოთამაშე დარჩება 18 ივლისის შეკრებისთვის ამ შემადგენლობიდან.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დორტმუნდის სუპერტურნირი

გერმანია. 23 ივნისი — 1 ივლისი

VI ტური

| | | |
|---|---|---|
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | სერგეი ალექსეევი (რუსეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | არკადი ნაიდიჩი (გერმანია) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0:1 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |

VII ტური

| | | |
|---|---|---|
| სერგეი ალექსეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| არკადი ნაიდიჩი (გერმანია) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |

### საბოლოო მდგომარეობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ვლადიმირ კრამნიკი | 5,0 | 5. შაჰრიარ მამედიაროვი | 3,5 |
| 2. სერგეი ალექსეევი | 4,0 | 6. მაგნუს კარლსენი | 3,0 |
| 3. ვიშვანათან ანანდი | 4,0 | 7. ბორის გელფანდი | 2,5 |
| 4. პეტერ ლეკო | 4,0 | 8. არკადი ნაიდიჩი | 2,0 |

# დორტმუნდი კრამნიკის ქალაქია



**მსოფლიოს** ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა დორტმუნდის სუპერტურნირი მერვედ მოიგო. მან შვიდი შესაძლებლიდან 5 ქულა აიღო და უახლოეს მდევრებს მთელი ქულით გაუსწრო.

ბოლო ტურში კრამნიკი თანამემამულე სერგეი ალექსეევს შეხვდა და პარტია სასურველი ანგარიშით დაასრულა. ჩემპიონი მეტოქეს 31 სვლა ეთამაშა, ბლომად ფიგურები დაუხოცა და ბოლოს ხელი მეგობრულად ჩამოართვა. ამ შედეგის შემდეგ ვიშვანათან ანანდმა სუპერტურნირის მოგების თეორიული შანსიც დაკარგა და მაგნუს კარლსენთან თამაში მალე შეწყვიტა.

ყველაზე ბოლოს შეხვედრა პეტერ ლეკომ და შაჰრიარ მამედიაროვმა დასრულეს. უნგრელს, როგორც ჩანს, ძალიან სურდა, მეორე ადგილზე მოცილე არ ჰყოლოდა და აზერბაიჯანელს 107 სვლა ეომა. დებიუტში მოჭადრაკეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს და მაშინვე გაცვლებს შეუდგნენ. ცენტრში ლეკო გააქტიურდა, მთელი მძიმე ძალა აქეთ გადმოსხა და მეტოქის რბევა დაიწყო. მამედიაროვი შეტევებს მოერიდა, თეთრების ყველა იერიში მოიგერია და ყაიმს დააჯერა.

**ლაშა გეგეჭკორი**

# აეროსვიტი უკრაინაში დარჩა



ვასილი ივანჩუკი

**უკრაინაში**, ყირიმულ სანატორიუმ ფოროსში „აეროსვიტის" ტურნირი დასრულდა. შეჯიბრი 7,5 ქულით მასპინძელმა ვასილ ივანჩუკმა მოიგო და 20 ათასი დოლარი ჩაიჯიბა. მეორეზეც უკრაინელი, 17 წლის სერგეი კარიაკინი გავიდა. იგი პირველადგილოსანს ნახევარი ქულით ჩამორჩა და ბიუჯეტი 15 ათასით შეივსო.

კარიაკინი ტურნირის მოგების შანსს ბოლო, მეთერთმეტე ტურამდე ინარჩუნებდა. გადამწყვეტ შეხვედრაში იგი რუს დმიტრი იაკოვენკოს შავი ფიგურებით დაუპირისპირდა.

პარტია უკრაინელმა აქტიურად დაიწყო, თავიდანვე იერიშებს მიმართა და რუსს ბევრი თავსატეხი გაუჩინა. თავის გადასარჩენად იაკოვენკომ გაცვლები დაიწყო, შავებს მძიმე ფიგურები დაუხოცა და 29-ე სვლაზე ყაიმსი აღინიშნა.

ალბათ ამ თამაშის შედეგს ელოდებოდა ივანჩუკიც, რადგანაც ორიოდე წუთში დაასრულა პარტია. მან რუს პიოტრ სვიდლერს თეთრი ფიგურებით გაუყო ქულა.

ორგანიზატორებმა ყველა მონაწილე დაასაჩუქრეს და სამს სპეციალური პრიზებიც გადასცეს. „შავი ფიგურებით ყველაზე მეტი გამარჯვებისთვის" ესპანეთის სახელით მოასპარეზე ალექსეი შიროვი დააჯილდოვეს და 4 ათასი დოლარიც უფეშქაშეს. დიდოსტატმა ტურნირზე შავებით სამი პარტია მოიგო.

„საუკეთესო შეტევისთვის" ჰოლანდიელ ლუკ ვან ველს 3 ათასი დოლარი გადასცეს, ხოლო — „საუკეთესო ენდშპილი" ტურნირის გამარჯვებულ ივანჩუკს მიაკუთვნეს და მის მონაგარს 3 ათასი დაემატა.

— „აეროსვიტის" წლევანდელმა ტურნირმა ორგანიზატორების, სპონსორებისა და ქომაგების იმედები გაამართლა. ეს შეჯიბრი მსოფლიოს ჭადრაკში დიდ ადგილს დაიკავებს" — განაცხადა უკრაინის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიქტორ პეტროვმა

**ლაშა გეგეჭკორი**

# არეულ ასეულს ქართველები დააკლდნენ

**ფიდეს** ახალ რეიტინგს ისევ ვიშვანათან ანანდი ლიდერობს. ინდუსმა ბოლო სამ თვეში საკმაო ქულები დააგროვა და უპირატესობა კიდევ უფრო განიმტკიცა. მეორე ადგილზე მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა გადაინაცვლა. მან ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს გაუცვალა ადგილი. დიდი ნახტომი გააკეთა ვასილ ივანჩუკმა. უკრაინელმა მოჭადრაკემ რამდენიმე დღის წინ აეროსვიტის ტურნირი მოიგო, აქტივს 27 ქულა შესძინა და მეცხრედან მეორე ადგილზე ახტა.

ტოპალოვის მენეჯერი სილვიო დანაილოვი კვლავ უკმაყოფილო დარჩა ახალი რეიტინგით და ფიდეს საპროტესტო წერილებით დაემუქრა.

„ფიდეს რეიტინგი კვლავ აერია. ადამსს შეცდომით მოუმატეს, ტოპალოვს კი ერთი პუნქტი დააკლეს. მას, ვლადიმირ კრამნიკის მსგავსად, 2769 ქულა აქვს და წესით, უნდა უსწრებდეს, რადგანაც რუსზე მეტი პარტია ითამაშა. იმედია, ფიდე შეცდომებს გამოასწორებს და ჩვენც საპროტესტო წერილს აღარ გავაგზავნით" — განაცხადა დანაილოვმა

ქართველთაგან საუკეთესო ასეულში ორი მოჭადრაკე დარჩა. ზვიად იზორია 76-ეა, ხოლო ბაადურ ჯობავა 77-ე. ზურაბ აზმაიფარაშვილი და მერაბ გაგუნაშვილი ამოვარდნენ ასეულიდან.

ქალებშიც დავთმეთ პოზიციები. მაია ჩიბურდანიძემ 14 ქულა დაკარგა და მე-7 ადგილიდან მეათეზე ჩაინაცვლა.

პირველობას არავის უთმობს იუდით პოლგარი. უნგრელი ქალბატონი მამაკაცებშიც ყოჩაღობს და იმხელა რეიტინგი აქვს, რომ არა მგონია, ერთი-ორი წელი ვინმე შეეცილოს.

20-წლამდელ გოგონეში ქართველთაგან საუკეთესო ნანა ძაგნიძეა. იგი 2404 ქულით მეათეზეა. ოცეულშია სალომე მელიაც. მას 2371 ქულა აქვს და ნანას ორი საფეხურით ჩამორჩება.

**ლაშა გეგეჭკორი**

### კაცები

| | |
|---|---|
| 1. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2792 |
| 2. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 2769 |
| 3. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2768 |
| 4. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 2762 |
| 5. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 2758 |
| 6. შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 2755 |
| 7. პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2751 |
| 8. ლევონ არონიანი (სომხეთი) | 2750 |
| 9. თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 2746 |
| 10. დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) | 2735 |
| 11. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 2735 |
| 12. პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 2735 |
| 13. ბორის გელფანდი (ისრაელი) | 2733 |
| 14. მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 2731 |
| 15. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 2726 |
| 16.გატა კამსკი (აშშ) | 2717 |
| 17. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 2710 |
| 18. ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი) | 2708 |
| 19. იუდით პოლგარი (უნგრეთი) | 2707 |
| 20. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 2706 |
| ---------- | |
| 76. ზვიად იზორია (საქართველო) | 2645 |
| 77. ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 2644 |

### ქალები

| | |
|---|---|
| 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი) | 2707 |
| 2. ჰუმპუ კონერუ (ინდოეთი) | 2572 |
| 3. პია კრამლინგი (შვედეთი) | 2533 |
| 4. იფან ჰოუ (ჩინეთი) | 2523 |
| 5. ჩენ ჟუ (ყატარი) | 2522 |
| 6. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) | 2515 |
| 7. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) | 2502 |
| 8. ანა უშენინა (უკრაინა) | 2502 |
| 9. ხუ ჩაო (ჩინეთი) | 2500 |
| 10. მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) | 2496 |
| 11. მარი საბაგი (საფრანგეთი) | 2491 |
| 12. ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) | 2481 |
| 13. მონიკა სოცკო (პოლონეთი) | 2479 |
| 14. ირინა კრუში (აშშ) | 2479 |
| 15. დრონავალი ჰარიკა (ინდოეთი) | 2478 |
| 16. ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) | 2475 |
| 17. ალისა გალიამოვა (რუსეთი) | 2468 |
| 18. ვიქტორია ჩმელიტე (ლიტვა) | 2467 |
| 19. თან თრან ჰონგი (უნგრეთი) | 2774 |
| 20. სუბარამან ვიიაიალაკშმი (ინდოეთი) | 2472 |
| ---------- | |
| 23. ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) | 2460 |
| ---------- | |
| 29. ნინო ხურციძე (საქართველო) | 2450 |
| ---------- | |
| 42. ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო) | 2418 |



# პიონჩანი: ორი კორეის თეთრი იმედი

**ხვალ** გვატემალაში იწყება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 119-სესია, რომელზეც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის გამოსავლენი კენჭისყრა. როგორც არაერთხელ ვიუწყებოდით, კენჭისყრას დაესწრებიან რუსეთისა და სამხრეთ კორეის პრეზიდენტები, აგრეთვე ავსტრიის ფედერალური კანცლერი, რომლებიც თავიანთ ქალაქებს უგულშემატკივრებენ. ამასთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ნო მუ ჰენმა, რომელიც პიონჩანის განაცხადის მხარდასაჭერად კვირას გვატემალაში ჩაფრინდა. მან თქვა, რომ 2014 წელს პიონჩანში ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამართვა კორეის ნახევარკუნძულზე ხელს შეუწყობს სამშვიდობო პროცესს და ერთიანი კორეის ოლიმპიური გუნდის შექმნასაც დააჩქარებს.

„მე აქ პიონჩანის მხარდასაჭერად ჩამოვედი. ჩამოვედი, როგორც კორეელი ხალხის ელჩი და სულაც არ ვფიქრობ, რომ სამ პრეზიდენტს შორის რაიმე უთანხმოებაა. ეს პოლიტიკური მეტოქეობა არაა. საქმე ისაა, თუ რამდენად მზადყოფნაში არიან კანდიდატი ქალაქები „ოლიმპიადა 2014-ის" ჩასატარებლად — თქვა ნო მუ ჰენმა და იქვე დასძინა:

„მე და ჩრდილოეთ კორეის პრეზიდენტსაც გვსურს ერთიანი ოლიმპიური ნაკრების ჩამოყალიბება. ახლა ამ მიმართულებით აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ჩვენ უკვე მივაღწიეთ ურთიერთგაგების უპრეცედენტო დონეს. თუ ჩვენ მოვახერხებთ ასეთი ნაკრების შექმნას, ეს არა მხოლოდ ორივე კორეისთვის, არამედ ოლიმპიური თამაშების ყველა მონაწილისთვის სიურპრიზი იქნება."

**ავთანდილ ტყვიზელი**



AFP

ნო მუ ჰენი მეუღლესთან ერთად გვატემალაში ჩაბრძანდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გრეგანი მიდის, ლარკემიც მიდის



ჯორჯ გრეგანი



სტივენ ლარკემი

„დროა, დაგემშვიდობოთ, ახლა ამას სიტყვებით და ემოციებით გამოვხატავ, შაბათს კი მოედანზე სულსა და გულს დავდებ. იმედია, გამარჯვებული გამოგეთხოვებით" — ასე მიმართა ავსტრალიურ მედიას და ქომაგს ოზთა ნაკრების უბერებელმა და ლეგენდად ქცეულმა მორაგბემ ჯორჯ გრეგანმა.

„ვოლაბების" მე-9 ნომერი შაბათს სამი ერის მესამე წრეში საკუთარი ქომაგის წინ ბოლოჯერ ითამაშებს სამხრეთ აფრიკასთან. ამის შემდეგ ავსტრალიას ორი საგარეო მატჩი და შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს თასი დარჩა. მსოფლიოს თასის შემდეგ გრეგანი სანაკრებო კარიერას დაასრულებს და სარაგბოდ საფრანგეთის ჩემპიონატის რანგით მეორეულიგელ „ტულონში" გადავა, სადაც კაპიტანი ჩვენი გია ლაბაძეა.

გრეგანი ეროვნული რეკორდსმენია, 17-წლიანი სანაკრებო კარიერის მანძილზე 123 კეპი მოუგროვდა და ძნელად, ვინმემ მისი რეკორდი გაიმეოროს.

მსოფლიოს თასის შემდეგ სანაკრებო კარიერას დაასრულებს სტივენ ლარკემიც, ვინც ავსტრალიის ნაკრებში ჯორჯ გრეგანთან ერთად ნახევარდაცვის ფანტასტიკურ წყვილს ქმნიდა. „დროა, მეც წავიდე. მსოფლიოს თასი ბოლო სანაკრებო ეტაპი იქნება. ვფიქრობ, ვალმოხდილი მივდივარ და იმედია, ამას მსოფლიოს ჩემპიონის რანგში გავაკეთებ" — თქვა ლარკემმა, ვისაც 100 სანაკრებო მატჩი მოუგროვდა და ვინაც ლარკემმა ორწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა შოტლანდიურ „ედინბურგთან"

**ბაჩო სვანიძე**

# სტირლინგ მორტლოკის შავი რეცეპტი: არაადამიანური და შესაძლებელი

**სამი ერის** პირველობაზე ავსტრალია ნემსის ყუნწში გაძვრა და მაინც მოუგო ახალ ზელანდიას. დიდი ხნის განმავლობაში „შავებს" ვერავინ ამარცხებდა, მათი უძლეველობის მითის დანგრევაში „ვოლაბების" კაპიტანმა სტირლინგ მორტლოკმა უდიდესი წვლილი შეიტანა. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ იქაურმა მასმედიამ სწორედ მორტლოკი დაასახელა. გენიოსი, ავსტრალიის გადამრჩენი, ბრწყინვალე და კიდევ უამრავი სხვა ეპითეტით შეამკეს გულშემატკივრებმა თუ ჟურნალისტებმა მატჩის შემდეგ კაპიტანი. შექმნილი ეიფორიისა და საზეიმო ვითარების მიუხედავად, მორტლოკმა ახალი ზელანდიის სიძლიერესა და მის უპირობო ფავორიტობაზე ისაუბრა: „მართალია, 20:15 მოვიგეთ, მაგრამ ისინი მსოფლიოს თასზე მაინც ნომერ პირველ ფავორიტებად მიმაჩნია. მაორები ერთნაირად ძლიერად თამაშობენ შინ და გარეთ. ჩვენ ამ თამაშისთვის უაღრესად სერიოზულად განვეწყვეთ, თითქოს მსოფლიოს თასის ფინალი ყოფილიყოს, იმედი ერთი წუთითაც არ დაგვიკარგავს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი წავაგეთ და შეიძლება, სხვა ჩვენს ადიგზე ბედს შერიგებოდა. მეორე ნახევრის დასაწყისშიც იყო მომენტები, როცა მათი უსწრაფესი შეტევებიდან წამოსული იმპულსები ჩვენს სასიკეთოდ მოვატრიალეთ. თითქოს ეს იყო ფსიქოლოგიურ-ფიზიკური ტესტი, რომელიც უნდა ითქვას, რომ წარმატებით ჩავაბარეთ. მატჩში გარდატეხა ჰეიმანის გაძევებით დაიწყო, უმრავლესობაში დავრჩით და უპირატესობა გამოვიყენეთ კიდეც. ვიგრძენი ის მომენტი, როცა ბურთის ფლობა შერკინებაშიც და ხაზზეც გაგვიუმჯობესდა, შეხვედრის ამ პერიოდს ვუმადლი ჩვენს შემდგომ წარმატებულ თამაშს და ყველასთვის გასაოცარ შედეგს. აუცილებლად მინდა დავძინო, რომ ახალ ზელანდიასთან გამარჯვების მისაღწევად საჭიროა არაადამიანური მონდომება და რამდენადაც შესაძლებელია, მთელი ოთხმოცი წუთის განმავლობაში უშეცდომო თამაში."

**ზურაბ მიგრიაული**

## ვულკანი ვარ, ამოვხეთქავ!

**ლესლი ვაინიკოლო** ტონგაში დაიბადა, ახალ ზელანდიაში დიდ რაგბის ეზიარა, ახლა კი ინგლისურ „ბრედფორდში" ჩაუქობს. დავაზუსტოთ, რომ „ვულკანად" წოდებული ვაინიკოლო აქამდე 13-კაცა ანუ ლიგის რაგბის თამაშობდა ანუ რაგბი ლიგელი იყო. ახლა კი ტრადიციულ რაგბიში ცდილობს ფეხის მოკიდებას. ამასთან „ვულკანი" ინგლისის ნაკრების მწვრთნელ ბრაიან ეშტონს სთხოვს, რომ მსოფლიოს თასზე წაიყვანოს.



„მე უკვე ავიღე ინგლისური პასპორტი და ვიუარე ტონგას და ახალ ზელანდიის ნაკრებებში თამაში. ეშტონს ვთხოვ, ერთხელ მაინც მნახოს და დარწმუნდება, რომ ნაკრების ღირსი ვარ. თანაც ახლა ყველაზე მეტად კონკრეტული პასუხი მჭირდება. ლიგაში მილიონიან კონტრაქტებს მთავაზობენ. მე კი ტრადიციული რაგბის თამაში მინდა. თუ ინგლისის ნაკრებში ამიყვანენ, ლიგურ წინადადებაზე ეგრევე უარს ვიტყვი" — თქვა ვაინიკოლომ.

ისე, ეს ვაინიკოლო კაი მოზვერი ჩანს. 186-სანტიმეტრიანი 28 წლის „ვულკანი" 90 კილოგრამს იწონის და 100 მეტრს 11 წამში დარბის. ხოლო 13-კაცა რაგბიში 152 მატჩში 149 ლელო გაიტანა.

## მიაწექით და გაიტანეთ!

**სამხრეთ აფრიკის** მწვრთნელ ჯეკ უაითს ამ უქმეებზე სამი ერის მატჩში ავსტრალიის დასამარცხებლად გამზადებული რეცეპტი აქვს. „ავსტრალია ტაქტიკურად გამართული გუნდია, მაგრამ თუ ბურთს ჩვენ გავაკონტროლებთ, ავსტრალიელებს თავიანთი ტაქტიკა ჩაუფლავდებათ. ამიტომ ჩვენი მორკინალები მაგრად უნდა მიაწვნენ, ბურთი მოიპოვონ და დანარჩენი უკვე უკანახაზელების საქმეა" — თქვა უაითმა.

**ბაჩო სვანიძე**



**მსოფლიოს ჩემპიონატი. მეცხრე ეტაპი**



AFP ასენიდან

მატია პასინიმ ზედიზედ მეორე გრან პრი მოიგო

# ვალენტინო როსი ჰოლანდიაშიც დოქტორია

**დიდებული** გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს შვიდგზის მოტოჩემპიონმა ვალენტინო როსიმ ჰოლანდიაში, ასენის ტრეკზე.

„სამეფო — ელიტ კლასში" 28 წლის იტალიელმა „სუპერდოქტორმა" კვალიფიკაციისას მხოლოდ მე-11 შედეგი აჩვენა და ამდენად, საკმაო ჭიდილი მოუხდა ლიდერებამდე მისაღწევად.

ავსტრალიელმა კეისი სტოუნერმა დასაწყისშივე ადვილად აუარა გვერდი პოულის მომგებ თანამემამულე კრის ვერმიულენს და 18-მრბოლიან ქარავანს სათავეში მოექცა. როსი ოთხი წრის შემდეგ უკვე მეექვსე იყო, მალე თანდათან ჩამოქვეითებული ვერმიულენიც მოინელა, მერე დანიელ პედროსა და შარშანდელი ჩემპიონი ნიკი ჰეიდენიც მიაყოლა და 120-კილომეტრიანი დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ მესამე გახდა.

ფინიშამდე ათიოდე წრე რჩებოდა, როცა ვალენტინომ ამერიკელი ჯონ ჰოპკინსიც იოლად ჩამოიტოვა და უმთავრეს საგვირგვინო კონკურენტ სტოუნერს კვალში ჩაუდგა. იტალიელის „ფიატ-იამაჰა" ისე დაფეთებული დაქროდა, რომ აშკარა იყო — ოზის მეწინავეობას დიდი დრო არ ეწერა. მართლაც, სამი-ოთხი უშედეგო შეტევის შემდეგ, რბოლის დასრულებამდე სამი წრით ადრე როსიმ დიდოსტატური სვლით, მოსახვევში შიდა მხრიდან გაასწრო ბედს შეგუებულ მეტოქეს. კეისის საპასუხო შებრძოლება არც უცდია.

როგორც იქნა, წლეულს პირველად ვიხილეთ პოდიუმზე მოქმედი ჩემპიონი. ჰეიდენმა ბოლოს და ბოლოს „გამოაჩინა ბრჭყალები", თავიდანვე აგრესიულად იბრძოლა და მე-13 პოზიციიდან დაწყებული რბოლა მესამემ დაასრულა. მაგრამ წინა ეტაპებზე დანაკარგის ანაზღაურებას ნიკი ვერ შეძლებს — გენერალურ კლასიფიკაციაში 57 ქულით მხოლოდ მეათე ადგილზეა.

უმძიმესი ავარია შეემთხვა „გრესინი ჰონდას" პილოტ ტონი ელიასს. 23 წლის ესპანელი ტრასაზე დაეცა და ბარძაყის ძვალი გაუტყდა. ასენის კლინიკაში ოპერაციის შემდეგ ექიმებმა განაცხადეს, რომ ელიასი ექვსი-შვიდი თვით გამოვიდა მწყობრიდან.

250 კუბურსანტიმეტრიან კატეგორიაში ჩემპიონმა ხორხე ლორენცომ სეზონში მეექვსე დიდ პრიზის მოგებით უახლოეს მდევარ ანდრეა დოვიზიოსოსთან 11-ქულიანი უპირატესობა გაორმაგა, ხოლო ყველაზე დაბალ კლასში მატია პასინის ზედიზედ მეორე გამარჯვებამ ძალიანაც ვერ არგო — მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა და ლიდერ ექტორ ფაუბელს 72 ქულით ჩამორჩება.

**გია ახალაძე**

### ჰოლანდიის დიდი პრიზი. ასენი— 4,555 კმ

**მოტო გრან პრი — 118,4 კმ**

1 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) — 42 წთ; 37,1
2 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) — ჩამორჩა 1,9
3 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) — 6,1

**საერთო ჩათვლა**

1 სტოუნერი 185; 2 როსი 164; 3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 119; 4 ჯონ ჰოპკინსი (აშშ, რიზლა სუძუკი) 94; 5 კრის ვერმიულენი (ავსტრალია, რიზლა სუძუკი) 88

**250 სმ³— 109,3 კმ**

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — 40 წთ; 25,9
2 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, მასტერ აპრილია) — ჩამორჩა 3,9
3 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) — 8,7

**საერთო ჩათვლა**

1 ლორენცო 178 ქულა; 2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) 155; 3 დე ანჯელისი 155; 4 ბატისტა 116; 5 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) 80

**125 სმ³— 100,2 კმ**

1 მატია პასინი (იტალია, პოლარის აპრილია) — 38 წთ; 58,2
2 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) — ჩამორჩა 6,11
3 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) — 6,15

**საერთო ჩათვლა**

1 ფაუბელი 138 ქულა; 2 ტალმაში 131; 3 სერხიო გადეა (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) 105; 4 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზეედორფ დერბი) 103; 5 ტომოიოსი კოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) 98

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორთავიანი ასტანა



ალექსანდრ ვინოკუროვი (მარცხნივ) და ანდრეას კლოდენი (მარჯვნივ)

**სეზონის** უმთავრესი რბოლის „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეები-ლა დარჩა და უპრესტიჟულესი ველოტურის მონაწილე გუნდები ერთმანეთის მიყოლებით ასახელებენ სატურდეფრანსო შემადგენლობებს.

წლევანდელი „დიდი მარყუჟის“ უპირველეს თავორიტად „ასტანას“ მრბოლი ალექსანდრ ვინოკუროვი ითვლება. ყოველ შემთხვევაში, სპეციალისტები და ასეთ საქმეებში კარგად გათვითცნობიერებული ბუქმეიკერები სწორედ ასე ფიქრობენ. და ეს მაშინ, როდესაც „ვინოს“ გარანტირებული ლიდერის პოზიცია თვით ყაზახურ ველოგუნდშიც არ აქვს.

საქმე ის არის, რომ ფრანგულ სუპერრბოლას „ასტანა“ ორი ლიდერით იწყებს — შარშანდელი „ვუელტა ესპანას“ ჩემპიონ ვინოკუროვთან ერთად, ასეთი „ტურის“ სამგზის პრიზიორი, გერმანელი ანდრეას კლოდენიცაა და, თუ რომელი მათგანი იქნება პირველი ვიოლინო, უშუალოდ რბოლის მსვლელობისას გამოჩნდება.

ამჯერად მხოლოდ ლიდერთა თანამშრომლობას, ანუ გრეგარობას უნდა დაჯაბულდეს „ჯირო დიტალიას“ ორგზის მომგები იტალიელი პაოლო სავოლდელი, ვინც თანამემამულე ედი მაცოლენისთან ერთად „ჯიროზე“ თავკაცობდა „ასტანას“. მაცოლენი „ტურზე“ არ იქნება. სამაგიეროდ, იქნება ვინოკუროვის ახალგაზრდა თანამემამულე ანდრეი კაშეჩკინი, ვინც მესამე იყო შარშანდელ „ვუელტაზე“.

მთლიანობაში, „ასტანას“ „სატურდეფრანსო“ შემადგენლობა ასე გამოიყურება: ალექსანდრ ვინოკუროვი, ანდრეი კაშეჩკინი, მაქსიმ იგლინსკი (სამივე ყაზახეთი), ანტონიო კოლომი, დანიელ ნავარო (ორივე — ესპანეთი), სერგეი ივანოვი (რუსეთი), ანდრეას კლოდენი (გერმანია), პაოლო სავოლდელი (იტალია) და გრეგორი რასტი (შვეიცარია).

# ამერიკელები და უკრაინელი



ლევი ლეიფჰემერი

**რომ არა** ესპანელი ექიმის ეუფემიანო ფუენტესის ყბადაღებული დოპინგ-სკანდალი და ამ სკანდალს თანმდევი მოვლენები, წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ მთავარ ფავორიტად არა ვინოკუროვი, თუ, ვთქვათ, ალეხანდრო ვალვერდე, არამედ იტალიელი ივან ბასო იქნებოდა.

შარშანდელი „ჯიროს“ ტრიუმფატორი სანახევროდ გაცდენილი სეზონის ბოლოს სუპერამბიციურ „დისქავერიში“ გადავიდა. ამერიკული გუნდი ლენს არმსტრონგის წასვლის შემდეგ ახალ ლიდერს ეძებდა და, თითქოს იპოვნა კიდეც, მაგრამ მერე ბასოს საქმეები აირია, იტალიელი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და „დისქავერიც“ ცაიტნოტში აღმოჩნდა.

და მაინც, იოჰან ბიუნელის გუნდი საკმაოდ ძლიერია და სერიოზულ ძალას წარმოადგენს. ნომინალური ლიდერი ამერიკელი ლევი ლეიფჰემერია და არც მისი თანამემამულის ჯორჯ ჰინკეიპის დავიწყება იქნება. გამორიცხული არც ის არის, რბოლის მსვლელობისას წინა პლანზე უკრაინელი იაროსლავ პოპოვიჩი რომ გამოვიდეს. ამ სამეულიდან რომელიც უნდა იყოს პირველი ნომერი, მას მხარდამჭერები არ მოაკლდება — „დისქავერის“ რიგებში ხომ ესპანელების, ალბერტო კონტადორისა და ეგოი მარტინესის სახით მშვენიერი სამთო მრბოლები ირიცხებიან.

ლეიფჰემერის, ჰინკეიპის, პოპოვიჩის, კონტადორისა და მარტინესის გარდა, ამერიკული ველოგუნდის ღირებას დაიცავენ: კიდევ ერთი ესპანელი ბენიამინ ნოვალი, პორტუგალიელი სერჟიო პაულინიო, რუსი ვლადიმირ გუსევი და ლიტველი ტომას ვაიტკუსი.

# მომავლის T-მობაილი

**22 წლის** მარკ კევენდიში, 23 წლის მარკუს ბურგჰარდტი, 24 წლის ლინუს გერდემანი — აი, ასეთი ახალგაზრდებით მიდის გერმანული „T-მობაილი“ სეზონის უმთავრეს რბოლაში მონაწილეობის მისაღებად.

მთელი რიგი დოპინგ-სკანდალებისა და წარსულის ვარსკვლავების სენსაციური აღიარებების შემდეგ გერმანულმა ველოგუნდმა თავისი ამერიკელი მენეჯერის, ბობ სტეპლტონის ხელმძღვანელობით მომავალზე გააკეთა აქცენტი და გუნდიდან არაერთი ვარსკვლავური, მაგრამ საეჭვო რეპუტაციის მრბოლი გაუშვა.

„T-მობაილი“ მთლად ახალგაზრდების იმედზეც არ იქნება. გუნდის ლიდერი, სავარაუდოდ, წლეულს მშვენიერ ფორმაში მყოფი ლუქსემბურგელი კიმ კირხენი უნდა იყოს, რომელსაც სამთო ეტაპებზე ლეგენდარული ბელგიელის, ედი მერქსის ვაჟი აქსელ მერქსი და პატრიკ სინკევიჩი დაეხმარებიან.

ინდივიდუალურ რბოლებში გერმანელები ამ საქმის ავსტრალიელი დიდოსტატის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ მაიკლ როჯერსის იმედად არიან, ხოლო მთლიანად, „T-მობაილის“ სატურდეფრანსო შემადგენლობა ასე გამოიყურება: მარკუს ბურგჰარდტი, ლინუს გერდემანი, პატრიკ სინკევიჩი (სამივე — გერმანია), მაიკლ როჯერსი (ავსტრალია), ბერნარდ ეიზელი (ავსტრია), მარკ კევენდიში (ბრიტანეთი), კიმ კირხენი (ლუქსემბურგი), აქსელ მერქსი (ბელგია) და ჯუზეპე გუერინი (იტალია).



აქსელ მერქსი



ალესანდრო პეტაკი მეუღლე კიარასთან ერთად

# არაოფიციალური პეტაკი ცაბელით

**წლევანდელ** „ჯირო დიტალიაზე“ ხუთი ეტაპის მომგებ ალესანდრო პეტაკის დოპინგ-ტესტმა აკრძალული პრეპარატის, სალბუტამოლის კვალი აჩვენა. მეორეს მხრივ, 33 წლის პეტაკის ასთმა აწუხებს და მისთვის სალბუტამოლის შემცველი წამლების მიღება რომ აუცილებელია, მთელმა ველოსამყარომ იცის.

იტალიური ველოგუნდის „მილრამის“ შეფებმაც საკმაოდ ორაზროვანი გადაწყვეტილება მიიღეს — პეტაკი სპორტსმენის ქცევების კოდექსის დარღვევის გამო არაოფიციალური დისკვალიფიკაციით დასაჯეს, მაგრამ სატურდეფრანსო განაცხადში მაინც შეიყვანეს.

მოკლედ, საკითხი ასე დგას, რომ როდესაც პეტაკი სალბუტამოლის შემცველი წამლის მიღებას დააპირებს, როგორც ჩანს, ამის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს როგორც საკუთარი გუნდის, ისე „პრო-ტურის“ სერიის თავკაცებს.

პეტაკის გარდა „მილრამის“ სახელით ფრანგულ სუპერრბოლაში კიდევ ერთი სახელოვანი სპრინტერი, გერმანელი ერიკ ცაბელიც იქროლებს, ვინც ამას წინათ გამოტყდა, გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც „ტელეკომის“ (ახლანდელი „T-მობაილი“) ღირსებას ვიცავდი, სისტემატურად ვიღებდი დოპინგსო.

როგორც ჩანს, „ტურ დე ფრანსზე“ „მილრამი“ სწორედ სპრინტერული ეტაპების მოგებაზე გააკეთებს აქცენტს, რადგანაც გუნდში არ არიან ძლიერი სამთო და უნივერსალური მრბოლები. პეტაკისა და ცაბელის გარდა „ტურზე“ „მილრამის“ სახელით შემდეგი ველოსიპედისტები ირბოლებენ: რალფ გრაბში, კრისტიან კნესი, მარსელ ზიბერგი, ენრიკო პოიტშკე (ყველა — გერმანია), ალბერტო ონგარატო, ალესანდრო კორტინოვიცი (ორივე — იტალია) და ბრეტ ლანკასტერი (ავსტრალია).

# მხოლოდ ბასკები

**ძველი** ბასკური ამბავია — საფეხბურთო ბილბაოს „ატლეტიკში“ მხოლოდ ბასკები უნდა თამაშობდნენ. სასურველია, რომ ეს ბასკები საუკეთესო ბასკები იყვნენ, მაგრამ რეალურად ასე, კარგა ხანია აღარ ხდება — საუკეთესონი სხვა, გაცილებით მდიდარ ესპანურ გუნდებში თამაშობენ.

და, არა მარტო ფეხბურთში. ასეა ველოსპორტშიც, სადაც ბასკებს ელიტარულ „პრო-ტურის“ სერიაში თავიანთი გუნდი — „ეუსკალტელი“ ჰყავთ და ამ გუნდის სახელით მხოლოდ ბასკები დაქრიან. გუნდის მეპატრონეთა სამწუხაროდ, არც ეს ბასკები არიან საუკეთესო ბასკები. მაგალითად, ალეხანდრო ვალვერდე — დღევანდელობის უძლიერესი ბასკი და სრულიად ესპანელი მრბოლი „კაისე დეპარგნის“ ღირსებას იცავს; იბან მაიო „სონი დიუვალის“ სახელით დაქრის და ასე შემდეგ.

„ეუსკალტელში“ კი მაინც, მხოლოდ ბასკები არიან და წლევანდელ „ტურზე“ გუნდის ლიდერობას, სავარაუდოდ, აიმარ სუბალდია გასწევს, ვინც 2003 წლის „ტურ დე ფანსზე“ მეხუთე იყო. სუბალდიას გარდა, გამოსაყოფნი არიან ინაგო ლანდალუზი და მიგელ ასტარლოა, რომელთაც ნამდვილად ძალუძთ ერთი კონკრეტული სამთო ეტაპის მოგება და თავიანთი ერთგული და ყველა გზაზე მყოფი ქომაგების გახარება.

ამ სამეულის გარდა „ეუსკალტელის“ განაცხადში არიან იგორ ანტონ ხორხე ასანსა, იანკი ისასი, რუბენ პერესი, ამეტც ტსურუკა და გორკა ვერდუგო

უიმბლდონი 2007. ბალახი საპრიზო 11 282 710 ₤

# თამაში ქოლგით

## პირველი ყველგან პირველია

2 ივლისი

კაცები

მესამე წრე

ტომაშ ბერდიხი (7, ჩეხეთი) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხ. კორეა) 6:4 7:6 7:6; მარკოს ბაღდატისი (10, კვიპროსი) — დავიდ ნალბანდიანი (23, არგენტინა) 6:2 7:5 6:0; იონას ბიორკმანი (19, შვედეთი) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:2 6:1 6:4; მიხაილ იუჟნი (14, რუსეთი) — იარკო ნიემინენი (18, ფინეთი) 7:5 7:6 6:3;

ქალები

მესამე წრე

ანა ივანოვიჩი (6, სერბეთი) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 6:3 6:2; ნადია პეტროვა (11, რუსეთი) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:3 7:6; ნიკოლ ვაიდიშოვა (14, ჩეხეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 6:4 6:2; სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 6:2 6:3; ტამირა პაშეკი (ავსტრია) — ელენა დემენტიევა (12, რუსეთი) 3;6 6:2 6:3; ვინუს უილიამსი (23, აშშ) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:2 3:6 7:5

მეოთხე წრე

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — პატი შნიდერი (15, შვეიცარია) 6:2 6:2; სერენა უილიამსი (7, აშშ) — დანიელა პანტუხოვა (10, სლოვაკეთი) 6:2 6:7 6:2; მიკაელა კრიაჩეკი (31, ჰოლანდია) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:3 6:4;

**ლონდონში** წვიმით ვის გააკვირვებ, მაგრამ რაც წლევანდელ უიმბლდონზე ხდება, უკვე ნამეტანია — სეზონის მესამე სლემტურნირის მეორე სათამაშო დღეს თუ არ ჩავთვლით, მთელი შეჯიბრი წვიმის აკომპანიმენტით მიდის და ორგანიზატორებსა და ჩოგბურთელებს დავთრები გვარიანად აქვთ არეული.

შაბათს ხომ წვიმის გამო, ფაქტობრივად, უქმე დღე გამოვიდა, რასაც ტრადიციული უიმბლდონური კვირა-უქმე დაემატა და გუშინ ისევ გაწვიმდა — სათამაშო დღე კარგა ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო და მერე, რამდენიმე, ჯერ კიდევ შაბათს დაწყებული მატჩისა და ორი გეგმიური გუშინდელი თამაშის დასრულება რომ მოხერხდა, ისევ გაწვიმდა.

შაბათს დაწყებული საქმეები მალევე მოამთავრეს სვეტლანა კუზნეცოვამ, ანა ივანოვიჩმა, ნიკოლ ვაიდიშოვამა და ნადია პეტროვამ. აი, ვინუს უილიამსმა საკმაოდ დიდხანს იწვალა და მერელა გატეხა იაპონელი აკიკო მორიგამის წინააღმდეგობა, ხოლო ელენა დემენტიევა, ვინც შაბათის შემდეგ ერთი სეტით წინ იყო, თავად გატყდა და მერვედფინალში ავსტრიელი ტამირა პაშეკი გაატარა. ასე რომ, ანა ჩაკვეტაძის მიკაელა კრაიჩეკთან წაგების შემდეგ, რუსებმა კიდევ ერთი ბობოლა მოისაკლისეს, მაგრამ დემენტიევას ბოლოდროინდელ არასტაბილურობას თუ გავიხსენებთ, მის მარცხს სუპერსენსაციად ნამდვილად ვერ მოვნათლავთ.

პირველი ყველგან პირველია და მეორე გაწვიმებამდე ჟუსტინ ენინი ქალთა შეჯიბრის პირველი მეოთხედფინალისტი გახდა. ბელგიელმა შვეიცარიელ პატი შნიდერს ოდენ ოთხი გეიმი დაუთმო და საერთოდაც, ერთი თვის წინანდელი „როლან გაროსიდან" მოყოლებული, ჟუსტინმა ზედიზედ, უკვე 11 მეტოქე ისე დაამარცხა, რომ სეტიც კი არავისთვის დაუთმია.

კაცთა პირველი მეოთხედფინალისტის ვინაობა უფრო ადრე, კვირას გახდა ცნობილი, როდესაც როჯერ ფედერერმა უქმე დღესაც კი იხეირა და წინ მუცლის კუნთებდაჭიმული ტომი ჰაასის უარის გამო წაიწია.

ფედერერის მომავალი მეტოქის ვინაობა ალბათ დღეს გახდება ცნობილი, თუ, რა თქმა უნდა, ინგლისურმა ამინდმა ინება და იანკო ტიპსარევიჩსა და ხუან კარლოს ფერერის კორტზე გასვლის საშუალება მისცა.

გუშინ კი წვიმას ტომაშ ბერდიხმა დაასწრო, შაბათს დაწყებული დაუმთავრა ჰიუნგ ტაიკ ლის და მეოთხე წრეში გავიდა, სადაც, სავარაუდოდ, შვედ ვეტერან იონას ბიორკმანს შეხვდება, ვინც გაწვიმებამდე უიოლესად ჯაბნიდა ავსტრიელ უეინ არტურსს. იქჩარა მარკოს ბაღდატისმა და სამ სეტში გადაუარა დავიდ ნალბანდიანს. დანარჩენებმა კი გამოდარების იმედით გასახდელებს მიაშურეს.

უამინდობის გამო ვერ ჩაატარა უიმბლდონზე თავისი სადებიუტო შეხვედრა ოქსანა კალაშნიკოვამ. ჩვენებური გოგონათა შეჯიბრის პირველ წრეში რუს როდიონოვას უნდა შეხვედროდა და ეს მატჩი მე-8 კორტზე რიგით მეოთხე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეოთხეს ვინ ჩივის, როდესაც გაწვიმებამდე პირველიც კი არ იყო დასრულებული.

# მაკა მაკარონების ქვეყანაში

## ჩახნაშვილი მოგებულ იტალიას არ ცვლის



**მაკა ჩახნაშვილმა** იტალიურ პადოვაში წარმატებით დაწყებული თამაში წარმატებითვე დაასრულა და წლევანდელ სეზონში პირველი ITF-ური ტიტული მოიპოვა.

პადოვას თიხნარზე გამართული 25-ათასიანი შეჯიბრი მაკამ საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო, იქიდან მოყოლებული ფინალამდე ექვს მეტოქეს გაუსწორდა და გადამწყვეტ შეხვედრაში კი სამ სეტში — 3:6 6:1 6:3 სძლია მეორე ნომრად განთესილ 21 წლის ჩეხ სანდრა ზაჰლავოვას, ვისაც WTA-ს მიმდინარე რეიტინგში 143-ე ადგილი უკავია.

იტალია ჩახნაშვილის კარიერაში ყველაზე წარმატებული ქვეყანაა და საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი ამ კვირაშიც იქ ითამაშებს. ამჯერად მაკა უფრო წარმომადგენლობით, კუნეოს 50-ათასიან ტურნირში მიიღებს მონაწილეობას და ძირითად ბადეში იქნება.

# ქვაცაბაია და სერბები

**სერბეთის** ქალაქ პროკუპლიეს თიხაზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო და ქართველი სოფო ქვაცაბაია საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობს შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრას.

კვალიფიკაციის პირველ წრეში სოფო თავისუფალი იყო; მეორეში ჩვენებურმა 6:4 6:2 მოუგო სერბ პეტრა კრეუსოვას და მესამე და გადამწყვეტი შეხვედრაში კი კიდევ ერთ მასპინძელს, ლიუბიცა ავრამოვიჩს შეხვდება.

# დევიძის მორიგი მარცხი

**გრძელდება** სალომე დევიძის წარუმატებელი სერია. ერთ დროს კლასიფიკაციის მესამე ასეულში მყოფი ჩვენებური წლეულს თამაშს თამაშზე აგებს და რეიტინგშიც სულ ქვევით და ქვევით ეშვება.

მოჯადოებული წრის გარღვევა სალომემ ვერც ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი ტეხასის შტატის ქალაქ საუთ ლეიკის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიან შეჯიბრზე შეძლო.

ქართველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობდა ძირითად ბადეში მოხვედრას და პირველივე წრეში 5:7 2:6 დამარცხდა რეიტინგში მასზე გაცილებით დაბლა, 1192-ე ადგილზე მყოფ 23 წლის ჰოლანდიელ ბო ვერჰალისტონკთან.

**გია მუჯირი**



# ბებერი ხარის მუშტები

## ჰოლიფილდს ფორმენის ასაკი აწუხებს

**უბერებელი** ევანდერ ჰოლიფილდი ამტკიცებს, რომ მასზე ასაკი ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს — 44 წლის სუპერვეტერანი დიდებულ ფორმაშია, რინგზე დაბრუნების შემდეგ აგერ ზედიზედ მეოთხე ბრძოლა მოიგო და ახლა მორიგ, აქამდე უპრეცედენტო მეხუთე საჩემპიონო ტიტულს უმიზნებს.

ჰოლიფილდი ამჯერად ელ პასოში კიდევ ერთ ვეტერანს თავის დროზე საკმაოდ პოპულარულ ლუ სავარეზეს გაუმკლავდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე ევანდერზე მაღალიც იყო და მძიმეც, ჰოლიფილდის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. სავარეზემ მხოლოდ თავიდან შეძლო თანაბრად ჩხუბი და ერთი-ორჯერ საკმაოდ მწარედაც მოარტყა ექს-ჩემპიონს, მაგრამ დაახლოებით მესამე რაუნდიდან ჰოლიფილდმა დისტანციიდან ჩხუბი არჩია, რამაც შედეგი გამოიღო. აქედან მოყოლებული სავარეზე გაძლებაზელა იყო და ევანდერმაც მეოთხე და მეცხრე რაუნდებში ორჯერ დაანოკდაუნა მეტოქე. განსაკუთრებით შთამბეჭდავი მეორე ნოკდაუნი იყო, როცა ჰოლიფილდმა ისეთი ჰუკი აჯახა მარჯვენიდან მეტოქეს, რომ სავარეზე მოცელილივით დავარდა ფიცარნაგზე.

მართალია, ჰოლიფილდმა ნოკაუტით ვერ მოიგო, მაგრამ მისი უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა და ამიტომ სამივე მსაჯმა უპირობო გამარჯვება მიანიჭა. სავარეზე კი ბრძოლის შემდეგ აშკარად გასავათებული იყო:

„ამ ბრძოლაში ყველაფერი ჩავდე. ამაზე მეტი ნაღდად აღარ შემიძლია და ამიტომ ვფიქრობ, დროა საერთოდ შევეშვა კრივს".

აი, ჰოლიფილდი არსად წასვლას არ აპირებს და იმედი აქვს, რომ რომელიმე საჩემპიონო ქამრისთვის ბრძოლის საშუალება მიეცემა:

„მინდა მეხუთეჯერ გავხდე ჩემპიონი. იმედი მაქვს, ამის შანსი მალე მექნება".

ჰოლიფილდს ძალიან უნდა ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი გახდეს და ამით ლეგენდარული ჯორჯ ფორმენის რეკორდი მოხსნას.

# ვიტალი კლიჩკოს ფიქრები:

## დაბრუნდება და ქამრიანი ვიქნები

**დიდი ამბიციებით** ბრუნდება რინგზე ვიტალი კლიჩკო. WBC-ს ექს-ჩემპიონი უკრაინელი ქამრის დაბრუნებას ხომ გეგმავს, მაგრამ ამის გარდა უნდა, ყველა საჩემპიონო ტიტული უმცროს ძმა ვლადიმირთან ერთად მოაგროვოს. ამ და სხვა მრავალ საინტერესო თემებზე ვიტალიმ რამდენიმე დღის წინ მოწყობილ ვებ-კონფერენციის დროს ისაუბრა, როცა კრივის მოყვარულთა და ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა. ამ კითხვა-პასუხებიდან კი ასეთი აზრების თუ კლიჩკოების სამომავლო გეგმების მონახაზის შეიძლება:

–ვიტალის რინგზე დაბრუნება 22 ნოემბერს მოხდება, როცა ის ჯამილ მაკლაინს დაეტაკება. უკრაინელის თქმით, ამერიკელთან გარკვეული საკითხები ისევ მოსაგვარებელია, მაგრამ მათი ბრძოლა 99 პროცენტით გადაწყვეტილი ამბავი ყოფილა.

–უკრაინელის ამტკიცებს, რომ ფორმის პიკზე გასასვლელად დაახლოებით 9 კვირა დასჭირდება. ვიტალიმ საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ ის რინგზე კარგა ხნით დაბრუნდა და თუ ნიგერიელი სამუელ პიტერი ოლეგ მასკაევს WBC-ს ტიტულს აართმევს, მაშინ ის აფრიკელს აუცილებლად შეხვდება.

–ვიტალის განცხადებით მისი რინგზე დაბრუნების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ის ყოფილა, რომ უმცროს ძმა ვლადიმირთან ერთად (IBF-ს ვერსიით მოქმედი ჩემპიონი) მძიმე წონის ოთხივე ქამარი დაისაკუთროს. უფროსი კლიჩკო ამბობს, რომ მნიშვნელობა არ ექნება ისინი თანაბრად გაინაწილებენ ამ ქამრებს და ორ-ორი ექნებათ, თუ რომელიმე სამი ვერსიით იჩემპიონებს. მთავარია, ოთხივე ქამარი ძმების ხელში აღმოჩნდეს, რაც ვიტალის თქმით, მათი ბავშვობის ოცნების ასრულება იქნება.

–უკრაინელი აღიარებს, რომ დღეს წარმოუდგენლად ძნელია ქამრების გამაერთიანებელი ბრძოლების მოწყობა. მაგრამ სჯერა, რომ მაყურებელი სიამოვნებით მიადევნებს თვალს ყველა ქამრის გაერთიანებისთვის მებრძოლ ძმებს, რაც პროფესიული კრივის მესვეურთ აიძულებს კლიჩკოებს ოცნების ასრულების შანსი მისცენ.

...7 ივლისს ვლადიმირს ტიტულის დაცვა მოუწევს ლეიმონ ბრიუსტერის წინააღმდეგ. უმცროსი კლიჩკოსთვის ეს ბრძოლა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სამი წლის წინ ის ბრიუსტერთან დამარცხდა და ახლა რევანში სწყურია. ვიტალი დარწმუნებულია ძმის წარმატებაში, თუმც ნოკაუტით მოგებას არ ელის.

–კრივში დაბრუნების მიუხედავად, ვიტალი არ აპირებს თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტას.

# ილარიანს პეკინამდე 0,2 წამიღა აშორებს



**რამდენიმე** დღის წინათ ბოსნია ჰერცოგოვინას ქალაქ ძენიცაში გამართულ მეორე ლიგის მძლეოსანთა ევროპის თასის გათამაშებაში ქუთაისელმა დავით ილარიანმა 110 მეტრზე თარჯრბენში რომ ყველას აჯობა (13,97), „ჯილდოდ" სტამბოლში კომერციულ ტურნირზე მიიწვიე. ილარიანმა ამჯერად თარჯები უფრო სწრაფად დასძლია (13,81), თუმცა გამარჯვებისთვის ეს საკმარისი აღარ აღმოჩნდა და მეორე ადგილზე გავიდა.

კაცმა რომ თქვას, ილარიანისთის არც მეორე ადგილია ურიგო, მით უმეტეს, იგი უფრო მიუახლოვდა პეკინის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ნორმატივს (13,62). იმედია მიზანსაც მიაღწევს, მანამდე კი ჩვენი მძლეოსანი უკვე ისრაელის ლია ჩემპიონატში მიიწვიეს და იმედი ვიქონიოთ, რომ სასურველ შედეგს იქ უფრო მიუახლოვდება.

# ბაალა ტქემლიდან ბალზე გავიდა

**ფრანგულ-პასპორტიან** აფრიკული წარმოშობის სტაიერ მეჰდი ბაალას ორჯერ მოუგია ევროპის ჩემპიონატი — 2002 და 2004 წლებში. მაგრამ ერთია ევროპაში გამარჯვება და მეორე — მსოფლიოს ჩემპიონატზე, მით უმეტეს, რომ მისი გაფურჩქვნის პერიოდი მისდა ჭირად 1500 მეტრის ყველა დროის უძლიერესი მორბენლის, მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯის ზეობას დაემთხვა.

მაგრამ ახლა, როდესაც ვარსკვლავთ ვარსკვლავი ჰიშამი ნებიერად განისვენებს პენსიაზე, ხოლო მისი ტახტისთვის ერთბაშად რამდენიმე 1500-მეტროსანი ებრძვის ერთმანეთს, ბაალასაც შეუძლია ამ ბრძოლაში ჩაბმა, მით უფრო, რომ ის საუკეთესო ფორმაშია, ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატამდე კი თვენახევარიღა დარჩა.




შაბათს, ევროკავშირის გულისგულ სტრასბურში გამართულ ტურნირზე ბაალამ სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა. კილომეტრ-ნახევრის დაფარვას მან 3 წუთი და 31,05 წამი მოანდომა და მართალია, ელ გურუჯის მსოფლიოს რეკორდამდე (3.26.00) ბარე ხუთი წამი დააკლდა, ამ შედეგმა მას უფლება მისცა, თანამედროვე მსოფლიოში ამ დისტანციაზე საუკეთესობაზე და მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაზე წარმოეთქვა სიტყვა.

„ახლა უკვე უფლება მაქვს, ოსაკაზე ვისაუბრო — ამბობს ბაალა — ამ შედეგით ტიტულის მოგებაც თავისუფლად შემეძლება."

**კოტე ყორშია**




# ჰოფაზე ჰოპლა ალალია

**ამ კვირადღეს** ირლანდიის სიდიდით მეორე ქალაქ კორკში ადგილობრივი მასშტაბის ტურნირი გაიმართა და იქ მისულ ირლანდიელებს დიდადაც დასწყდათ გული, როცა მათმა თანამემამულემ, 60 მეტრ თარჯრბენში მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატის მომგებმა დერვალ ურურკმა 100 მეტრი თარჯრბენი წააგო ბრიტანელ სარა კლაქსტონთან. თუმცა ხალხი მაინც გულიანად ქომაგობდა თავისიანსაც და სხვისიანსაც.

ამ მომცრო ტურნირის მთავარ ამბად იქცა ამერიკელი ბირთვის მკვრელის რიისე ჰოფას მორიგი გამარჯვება. ხარაბუზა იანკიმ თავისი ექვსი ნატყორცნიდან სამი ლეგალურად შეასრულა და მათგან საუკეთესო ნაკრავი 21,47 მეტრზე იქით დაეცა. ეს ზედიზედ მე-12 ტურნირია, რომელზეც ჰოფა 21 მეტრს აცილებს ბირთვს და თავგამოდებით ამტკიცებს, რომ გადასარევ ფორმაშია და აგვისტოში იაპონურ ოსაკაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზეც თავისი სახეობის მთავარ ფავორიტთა შორის იქნება. ჰოფა უკვე გახლავთ მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობის ჩემპიონი და ახლა ნამდვილი ტიტულიც მოუწადინება. მისი პირადი რეკორდია 21,96 მეტრია და კაცმა რომ თქვას, ასეთი შედეგით ოსაკაში გამარჯვებაც რეალურზე რეალური იქნება.

**კოტე ყორშია**

# ბალდინის გულმაც გაუწია და ფეხმაც

**2004 წლის** ათენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, იტალიელმა სუპერმარათონელმა სტეფანო ბალდინიმ სულ ორიოდ კვირის წინ აღთქმა დადო, აღარსად აღარ ვირბენ, კარგად დავისვენებ და სირბილს 2008 წლისთვის განვაახლებ, რათა პეკინის ოლიმპიადისთვის ძალები გამოვიზოგოო. მაგრამ გავიხედეთ და, ბალდინიმ ლონდონის ქუჩებში გამართულ 10-კილომეტრიან, ასე ვთქვათ, მეოთხედმარათონში მიიღო მონაწილეობა და მოიგო კიდეც.

36 წლის ბალდინის ეს წელიწადი ჩაუვარდა — აღარც ასაკი უწყობს ხელს, აღარც ჯანმრთელობა და მოტივაციაც აღარ აქვს ძველებური. სეზონის დასაწყისში ლონდონის სუპერმარათონის მოგებას გეგმავდა, მაგრამ ფინიშამდეც ველარ მიაღწია, იმდენად ცუდად წაუვიდა სირბილი, ამიტომაც გადაწყვიტა დავისვენებო, მაგრამ, როგორც ჩანს, გულმა მაინც ლონდონისკენ გაუწია.

კვირას ლონდონში გვარიანად გაწვიმდა, მაგრამ ბრიტანელებს წვიმა როგორ შეაშინებთ. ხუმრობაცაა ასეთი: ინგლისელები სველი ფეხებით იბადებიანო. ასე რომ, გზის პირებზე დაუზარლად გამწკრივებულმა ლონდონელებმა უზარმაზარი ქოლგები გაშალეს და ადგილიდან ფეხიც არ მოუცვლიათ.

ბალდინი თავიდანვე თავში მოექცა ხალხის მასას. პიკადილის ცირკს და ტრაფალგარის მოედანს მან ადგილობრივ ფილ ვიქსთან და კენიელ საიმონ ტონუისთან ერთად ჩაურბინა. განსაკუთრებით ბრიტანელი მიჰყვა ფეხდაფეხ ფავორიტს და ერთხელ გაუსწრო კიდეც, თუმც 5 კილომეტრის მოტოვების შემდეგ ვიქსი ჩამორჩა, 8 კილომეტრის შემდეგ კი ბალდინისაც დაუმძიმდა ფეხები, მაგრამ მაინც არ გაიტეხა იხტიბარი და ბედნიერსახიანმა გადაკვეთა ფინიში. 10 კილომეტრის გარბენა ბალდინის სულ 29 წუთი და 27 წამი „დაუჯდა". მას 6 წამით ჩამორჩა ფილ ვიქსი, საიმონ ტონუიმ კი ერთბაშად წუთით და 8 წამით დააგვიანა.

ლონდონში ქალებმაც ირბინეს და აქ კენიელმა ჰილდა ბეტმა (32.34) მოიგო.

**კოტე ყორშია**




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლალო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კვირიკაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge